სპორტიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 16 აგვისტო 2005 №186 (2509) ფასი 50 თეთრი

ესპანი ჩელსელია

საპნის ოპერა დასრულდა

4



ტრადიციული პასუხი ტრადიციულ კითხვაზე

ინტერვიუ რადომირ ანტიჩთან

5



ბრინჯაოს სტუდენტები

იზმირში მსოფლიოს უნივერსიადა დაიწყო

12

რა უნდა საქართველოს ყაზახეთში?

კახა ზალამბერიძე

ალმათიდან

თითქმის ოთხსაათიანი ფრენა და ალმათიში ვართ. აეროპორტი მშვენიერია, მაგრამ შთაბეჭდილება მალევე გაგვინელდა — რეგისტრაციაში გავლას იმდენი ხანი დასჭირდა, რომ ფეხბურთელები ლოდინით დაიღალნენ. მასპინძლებს ელემენტარული ყურადღება რომ გამოეჩინათ, უსასრულო რიგებში ჩადგომა არ მოგვიწევდა.

საბოლოოდ, ყველაფერი მოგვარდა, ყაზახეთის ყოფილ დედაქალაქში კი პაპანაქება-ბუას ნაცვლად ოდენ 30-გრადუსიანი სითბო დაგვხვდა, თუმცა მაინც რაღაცნაირი, დახუთული ჰაერია. ქალაქში მაინცდამაინც ვერც იმას იგრძნობთ, რომ აქ ორ დღეში მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩია — აეროპორტიდან სტადიონამდე ერთადერთი აფიშა ვნახეთ, ხალხი კი ავტობუსზე აკრულ აბრას, წარწერით **GEORGIA**, გაკვირვებით აყოლებდა თვალს, თითქოს ფიქრობდნენ, ამათ აქ რა უნდათო. მაინცდამაინც არც ჟურნალისტები აქტიურობდნენ, ორადორი კოლეგა დაგვხვდა აეროპორტში — ისიც ტელეჟურნალისტები.

ალ. ფეიერბერგი

აეროპორტში შეყოვნების გამო ახალგაზრდულმა ნაკრებმა პირდაპირ სტადიონს მიაშურა. კობა ჟორჟიკაშვილმა ყაზახ თანატოლებთან მატჩამდე ბოლოჯერ ავარჯიშა ბიჭები — ყველანი კარგად არიან, მხოლოდ თბილისიდან წამოსვლის წინა დღეს ვარჯიშზე კოჭგადაბრუნებული ბექა გოცირიძის თამაშია ძალიან საეჭვო, რატი წინამძღვრიშვილს კი წელი აწუხებს, თუმცა მისი მდგომარეობა საშიში არაა და ამერელიც დღეს ალბათ ითამაშებს.

შეგახსენებთ, რომ ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩი დღეს ალმათის ცენტრალურ სტადიონზე თბილისის დროით 13 საათზე დაიწყება.

რაც შეეხება ეროვნულ გუნდს, გაიოზ დარსაძემ ბიჭები ჯერ სასტუმროში წაიყვანა, ცოტა ხნით მოასვენა და მოგვიანებით ავარჯიშა. ნაკრების კაპიტანი კახა კალაძე, დავით მუჯირი და ლადო ახალაია გუნდს გუშინ საღამოს შეუერთდნენ, ტრავმა არავის აწუხებს და წვრთნაც ხალისიანი გამოდგა. ნაკრები ხუთვარსკვლავიან სასტუმრო „ასტანაში“ დაბინავდა.

აი, მოკლედ ასეთი ამბები იყო გუშინ ალმათიში, დღეს კი გაიოზ დარსაძე პრესკონფერენციის გამართვას გეგმავს.

გადრე ჯეფილაძის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა



გაბელაია ცხინვალამდე ქარელს უცდის

ფოთის „კოლხეთიდან“ წასვლის შემდეგ სერგო გაბელაია უმუშევარი დარჩა, თუმცა ალბათ დროებით — დიდი შანსია, გაბელაიამ „ცხინვალი“ ჩაიბაროს, ეს ამბავი კი შიდა ქართლის გუბერნატორისა და კლუბის პრეზიდენტის მიხეილ ქარელის დასტურის გარეშე, აბა, როგორ მოხდება.

„მოლაპარაკებები უკვე გაიმართა. ცხინვალელები დამიკავშირდნენ და ჩემი თავკაცობის სურვილი გამოთქვეს. არც მე ვარ წინააღმდეგი, მაგრამ მიხეილ ქარელი ამჟამად უცხოეთშია და როდესაც ჩამოვა, მაშინ გადაწყდება ყველაფერი“ — გვითხრა სერგო გაბელაიამ.

როგორც იცით, „ცხინვალს“ ზურაბ მაისურაძე წვრთნის, რომლის ხელში გუნდმა პირველ ტურში „სოხუმს“ მოუგო, თუმცა მეორეში „კოლხეთთან“ დამარცხდა და მის შეცვლაზეც სწორედ მაშინ ალაპარაკდნენ.

ლუკა თალაკვაძე

ბათუმს ტრანსფერები არ ასვენებს

ძველმა ბათუმელმა ვიტალი დარჩიძემ თურქეთში თავი პენალტით გამოიჩინა

ახალი სეზონის წინ ფინანსურად მომძლავრებული „ბათუმი“ დღითიდღე შემადგენლობასაც აძლიერებს და უკვე ფეხბურთელთა ასარჩევად აქვს საქმე. ორიოდ დღის წინ „ბათუმმა“ კიდევ ორი ფეხბურთელი შეიმატა: მცველი ნიკოლოზ გუშარაშვილი, ვინც „ბათუმში“ შარშანაც თამაშობდა და გიზო ჯელაძე, „ამერის“ ყოფილი ნახევარმცველი. ამათ ბათუმელებმა კონტრაქტები უკვე გაუფორმეს, თუმც თურქეთს მათ გარეშე ესტუმრნენ. გუნდის მწვრთნელმა ამირან გოგიტიძემ ჩემპიონატში პაუზით ისარგებლა და შეგირდები სამეზობლოში „ხოფასფორს“ გააჯიბრა. „ბათუმმა“ 1:2 წააგო, თუმც ორი შემადგენლობით ითამაშა და მწვრთნელსაც ყველა ფეხბურთელის გამოცდის საშუალება მიეცა.

თოთლაძე, სიდამონიძე, გოგიშვილი, ბეგლარ თედორაძე, შავგულიძე, ჩხაიძე, ცანავა, ბესიკ თედორაძე, ქაცარავა, დათვაძე, ზირაქიშვილი — ასეთი იყო „ბათუმის“ შემადგენლობა პირველ ტაიმში. შესვენების შემდეგ კი მოედანზე ესენი იყვნენ: *თოთლაძე, გოგიშვილი, ექონია, დუმბაძე, მანწკავა, მ. ბურნაძე, ქაცარავა, ბესიკ თედორაძე, დარჩიძე, კაკალაძე, მიქაძე.*

ბათუმელები მიქაძის წაქცევისთვის დანიშნული პენალტით დარჩიძემ დააწინაურა, მაგრამ შემდეგ თურქებმა ორჯერ გაიტანეს.

— სამშაბათს ფოთს ვესტუმრებით, „კოლხეთთან“ ამხანაგური მატჩი გვაქვს დაგეგმილი. „ბათუმი“ ამ შეხვედრასაც შემადგენლობის უკეთ შესათამაშებლად გამოიყენებს, ჩვენ ხომ, ფაქტობრივად, ახალი გუნდი გვყავს. ბიჭებს შეკრება არ გაუვლიათ, ზოგი ახლახან შემოგვერთდა და საფუძვლიან მომზადებას ახლა ვიწყებთ — გვითხრა ამირან გოგიტიძემ.

„ბათუმის“ ახალწვეულები გუშარაშვილი და ჯელაძე კი ვარჯიშს უკვე შეუდგნენ და დღეს ფოთში ალბათ ისინიც ითამაშებენ.

შეგახსენებთ, ჩემპიონატში „ბათუმმა“ შინ „ბორჯომი“ 1:0 დაამარცხა, მერე კი თბილისში „სპარტაკთან“ 0:0 ითამაშა. მესამე ტურში, შაბათს, ბათუმელები „სიონს“ უმასპინძლებენ.

კოტა ინასარიძე

თბილისმა ამერს გოლი უსახსოვრა

სულიკო დავითაშვილმა მეკარეს კი აჯობა, მაგრამ ბურთი ხარიხას გაარტყა

ჩემპიონატის მეორე და მესამე ტურებს შორის ორკვირიანი უქმობის გამო „თბილისი“ და „ამერი“ ამხანაგურ მატჩზე შეთანხმდნენ, რომელიც გუშინ ისანში, „ოლიმპზე“ ჩაატარეს. თამაში „ამერმა“ 1:0 მოიგო. გოლი თბილისელმა ლოლაძემ საკუთარ კარში გაიტანა.

ახალგაზრდა თბილისელებმა თამაში მონდომებით კი დაიწყეს, მაგრამ ვერც მომენტი შექმნეს და მცირე ტერიტორიული უპირატესობაც მე-15 წუთისთვის დაკარგეს. აქედან მოყოლებული, მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში მოედანზე მხოლოდ ერთი გუნდი, „ამერი“ ჩანდა. მომენტებიც ბლომად იყო: ორჯერ სილაგავას ჰქონდა საუკეთესო საგოლე შანსი, დავითაშვილის თავური ხარიხას მოხვდა, მეკარე სომხიშვილთან პირისპირ დარჩენილმა კოშკაძემ კი დარტყმა დაახანა და მომენტიც წახდა.

თავში ნახსენები ავტოგოლი კი 23-ე წუთზე გავიდა: დეკანოსიძის კარის გასწვრივ ჩაწოდებულ ბურთს პირველმა ლოლაძემ მიუსწრო, მოგერიება კი არ გამოუვიდა...

ის იყო, ტაიმი უნდა დასრულებულიყო, რომ ანგარიში კინაღამ გათანაბრდა — ამერელთა საჯარიმოში შეჭრილი კვარაცხელია დავითნიძემ წააქცია და პენალტიც დაინიშნა. დარტყმა კვარაცხელიამვე ითავა, მაგრამ ნიკურაძემ ბურთი მოიგერია და პირველი ტაიმიც წამსვე დამთავრდა.

შესვენების მერე „თბილისი“ საგრძნობლად გააქტიურდა, „ამერს“ კი პირიქით, მოდუნება დაეტყო. თუმცა სახიფათო მომენტების მხრივ მეორე ტაიმი ბევრად უფრო მწირი გამოდგა და გამოსარჩევი ოდენ გოგა ფიფიას ხარიხისთვის გარტყმული ბურთი გახლდათ.

გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს:

თბილისი: სომხიშვილი, დარასელია (ჯალაღონია 38, დარსაძე 70), ბოჭოიძე (ბერიძე 46), ხაჭიპერაძე, ლოლაძე (მოდებაძე 46), გ. იაშვილი (ფოფხაძე 46), გოგოხია (ლიპარტია 76), ხოხონიშვილი, ვ. კვარაცხელია, კვასხვაძე, თოფურია (გოგა ფიფია 38)

ამერი: ნიკურაძე, დავითნიძე, ხვადაგიანი, ბერიანიძე, კვახაძე, დეკანოსიძე (ვარუჩავა 69), დობროვოლსკი, კოშკაძე (ნიკოლაიშვილი 58), სილაგავა (ნადირაძე 58), ჩხეტიანი, დავითაშვილი (ჩიმაკაძე 69)

კოტე კეკელია

დარასელია ისევ ბურთთანაა

ვიტალი დარასელიას რამდენიმე დღე მუხლის ტრავმა აწუხებდა, თუმცა რუსული პრემიერლიგის გასულ ტურში ისედაც ვერ ითამაშებდა — დისკვალიფიცირებული იყო ვიტალიმ უკვე განახლა ვარჯიში და „ალანიას“ ორშაბათ მატჩში 15 წუთი ითამაშა კიდეც.

იცხაკ შუმის გუნდისთვის ქართველი მე-10 ნომრის გამოჯანმრთელება ნაღდად შვებაა, რადგან ალანიელებს რუმინელი ფორვარდი კრისტიან ტუდორი კარგა ხნით დაუშავდათ. ჰოდა, ახლა ფიქრობენ, რომ ვიტალი უკანდახეულ თავდამსხმელად ითამაშებს, ანუ გიორგი დემეტრაძეს დაეხმარება.

ლუკა თალაკვაძე

ინგლისი

I ლიგა III ტური

პორტვეილი 1:0 ბრენტფორდი

გერმანია

II ბუნდესლიგა II ტური

ბოხუმი 2:2 კოტბუსი

საფრანგეთი

II დივიზიონი III ტური

შატორუ 1:0 რეიმსი

იტალია

თასი II ეტაპი

ნაპოლი 1:0 რეჯინა

შვედეთი

სუპერლიგა XIX ტური

ვესბი 2:1 აიკ

იორებრო 1:0 ატვიდაბერგი

ფრიოლუნდა 2:1 დეგერფორსი

ნორჩიოპინგი 2:0 ტრელებორგი

ირლანდია

პრემიერლიგა

გადადებული მატჩი

კორკი 1:0 შელბურნი

ჩეხეთი

გამბინუსლიგა II ტური

ბრნო 0:1 ლიბერეცი

ამხანაგური მატჩები

პოლონეთი 3:2 სერბეთი

უკრაინა 3:5 ისრაელი

ქართველები უცხოეთში

ვან გაალმა არველაძის გოლები დაიმოწმა

ქართველ ლეგიონერთა უქმეებზე ნამოქმედარის უმთავრეს მოვლენად ჰოლანდიაში დაბრუნებული *შოთა არველაძის* დუბლი მივიჩნიეთ: შოთა „ალკმაარის“ მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა სასტაოტო შემადგენლობაში დააყენა და არც უნანია: 33 წლის ფორვარდმა როტერდამის „სპარტას“ მესამე წუთზევე გაუტანა. არველაძემ მეორე გოლი მეორე ტაიმის დაწყებიდან ორ წუთში შეაგდო, „სპარტას“ განადგურებას კი წერტილი სეკტიუმ დაუსვა. ნამატჩევს ვან გაალმა ჰოლანდიურ მედიასთან ქართველი თავდამსხმელი დიდად აქო, იმიტომაც მოვიწვიე ჩემს გუნდში, მის შესაძლებლობებში დარწმუნებული რომ ვიყავიო.

გოგა გახოკიძის „ტვენტე“ კი, სამწუხაროდ, კერკრადეში დამარცხდა „როდასთან“. გახოკიძემ 60 წუთი ითამაშა, ჩვეულ ადგილას, ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე.

ჰოლანდიიდან გერმანულ ბუნდესლიგაში გადავინაცვლოთ და ერთ-ერთ გამორჩეულ მატჩზე, რურის დერბიზე ვთქვათ: დორტმუნდის „ბორუსიასა“ და გელზენკირხენის „შალკეს“ შეხვედრა რაგინდარა ტურნირი იყოს, მუდამ დაძაბული და ხმაურიანია. ასეა ყოველთვის და ასე იყო შაბათსაც. „ბორუსია“ ერთგვარად რევანშისთვის ემზადებოდა დორტმუნდში შარშანდელი 0:1 წაგებისთვის, თუმც ახლაც ვერაფერს გახდა. „შავ-ყვითლები“ ამჯერადაც დაეჩაგვრინენ *ლევან კობიაშვილის* გუნდს. „კობი“ ნაყოფიერად გაისარჯა და „კიკერისგან“ საკმაოდ მაღალი შეფასება, 2-იანი მიიღო.

ლევან ცქიტიშვილის „ვოლფსბურგმა“ მეორე ტურშიც ფრედ ითამაშა: „ცქიტოს“ გუნდი მაიკ ჰანკემ დაწინაურა მე-4 წუთზე, თუმც გლადბახელთა დანიელმა მცველმა კასპერ ბოგილუნდმა სტუმრებს სამი ქულა მაინც დაატოვებინა, ბოგილუნდმა 90-ე წუთზე მეკარე საიმონ იენჩს თავით გაუტანა. ლევანი ამ მატჩში იმით გამოირჩა, რომ მსაჯმა ვაენერმა უხეშობისთვის გააფრთხილა.

ალექსანდრე იაშვილის „ფრაიბურგი“ დრეზდენში 0:2 დამარცხდა. „ფრაის“ კაპიტანმა არაერთი თავსატეხი გაუჩინა მასპინძლებს, მაგრამ იაშვილმა თანაგუნდელები ვერაფრით აიყოლია. შედეგიც კანონზომიერია.

ავსტრიულ მაქსბუნდესლიგაში ჩინებული სტარტის შემდეგ, სამწუხაროდ, ნელ-ნელა პოზიციებს თმობს *დავით მუჯირის* „შტურმი“. „მუმუ“ ვენის „აუსტრიასთან“ თავი მხოლოდ იმით „გამოიჩინა“, რომ გააფრთხილეს, მე-60 წუთზე კი შეცვალეს. „შტურმი“ ახლა გათამაშების ცხრილში მეოთხეა.

ვინაიდან რუსეთის, ყაზახეთის, უკრაინისა და პოლონეთის ნაკრებები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის ემზადებიან, უქმეებზე ტურის კალენდარული მატჩები არ გამართულა და, ბუნებრივია, იქაურ ლიგებში მოთამაშე ქართველობაზე სათქმელიც არაფერია.

და ერთიც: მართალია, იტალიაში სეზონი ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ კვირა საღამოს ცნობილ „სან სიროზე“ მაგარი თამაში კი იყო. გეცოდინებათ, „მილანი“ და „იუვენტუსი“ ყოველწლიურად, სეზონის დაწყების წინ „ლუიჯი ბერლუსკონის თასს“ ეცილებიან ერთმანეთს. „მილანმა“ წლეულს პირველად ითამაშა საკუთარი ქომაგების თვალწინ. საქართველოს ნაკრების კაპიტანმა *კახა კალაძემ* კი მეორე ტაიმში ჩეხი მარეკ იანკულოვსკი შეცვალა. „მილანმა“ კაკასა და სერჟინიოს გოლებით ფაბიო კაპელოს გუნდი 2:1 დამარცხა, თუმც პირველი ტაიმი პატრიკ ვიეირას გატანილით წააგო.

გიორგი ვაზაკიძე

შოთა არველაძე ჰოლანდიაში დუბლით დაბრუნდა

ქართველებმა აზერბაიჯანი კინკილათი დაიწყეს

აზერბაიჯანული კლუბები ქართველებით გაიძეძგებიანო, მთლად ასეც არ არის საქმე. ამ ზაფხულს საკმაოდ ბევრმა ჩვენიანმა იქ ფეხი ვერ მოიკიდა და უკან დაბრუნდა. ჰოდა, ვინც მოიკიდა და ვინც შარშან-შარშანწინაც თამაშობდა, იმათზე ვთქვათ.

მოკლედ, გასულ უქმეებზე აზერბაიჯანის ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩები გაიმართა. ალექსანდრე გოგობერიშვილისა და მეკარე სოსო გრიშიკაშვილის „ბაკიმ“ შინ ძნელი თამაში მოუგო „კარვანს“ — 1:0. გოგობერიშვილმა სრულად ითამაშა, გრიშიკაშვილს კი ტრავმა აწუხებს. რაც შეეხება „კარვანს“, ევლახელთა რიგებში ექსვიტჯორჯიელი მცველი ალექსანდრე ინწკირველი გამოჩნდა და ისიც ვთქვათ, რომ ამ გუნდის თურქი თავკაცი ფუად იამანი „ბაკისთან“ ნამარცხევს მოხსნეს.

„ნეფთჩიში“ მხოლოდ ვალერი აბრამიძემ ითამაშა, ხოლო გიორგი ადამია ტრავმას იშუშებს. „მენავთობეებმა“ „შაჰდაღის“ 3:1 ძლევით დაიწყეს ჩემპიონატი, რაც ჰეთთრიქოსანი ნადირ ნაბიევის დამსახურებაა.

ზაზა ლაცაბიძისა და თენგიზ სიჭინავას „თურანმა“ აგდამის „ყარაბახი“ 2:1 წამოაქცია. ქართველები გუნდის ლიდერებად ითვლებიან, თუმცა გოლის გემო არ გაუსინჯავთ.

ერთადერთი აზერბაიჯანული ქართული გოლი გიანჯელმა ირაკლი ბერაიამ გაიტანა — მან ბაქოს „ინტერთან“ ანგარიში გახსნა, მაგრამ თამაში 2:2 დამთავრდა. „გიანჯაში“ ირაკლის ძმა, გოგა ბერაიაც თამაშობს. შარშან კი ამ გუნდის მთავარმეგოლე მიხეილ ხუციშვილი გახლდათ.

ლუკა თალაკვაძე

სახელი გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა	თ	გ	ა
გერმანია. ბუნდესლიგა								
ლევან კობიაშვილი	შალკე	ს	დორტმუნდი 2:1	90		2	0	5
ლევან ცქიტიშვილი	ვოლფსბურგი	ს	გლადბახი 1:1	90	გააფრთხილეს	2	0	10
გერმანია. მეორე ბუნდესლიგა								
ალექსანდრე იაშვილი	ფრაიბურგი	ს	დინამო 0:2	90		2	0	14
ოთარ ხიზანეიშვილი	ფრაიბურგი	ს	დინამო 0:2	0	ტრავმირებულია	0	0	14
გერმანია. ჩრდილოეთ რეგიონალლიგა								
ხვიჩა შუბითიძე	ზტ. პაული	შ	ლიუბეკი 1:1	90		4	1	2
გერმანია. სამხრეთ რეგიონალლიგა								
მიხეილ საჯაია	ბაიროითი	ს	მიუნხენი (მ) 1:2	90		2	2	12
შოტლანდია. პრემიერლიგა								
ზურაბ ხიზანიშვილი	რეინჯერსი	ს	აბერდინი 2:3	0	განაცხადში არ იყო	0	0	3
ჰოლანდია. პირველი დივიზიონი								
შოთა არველაძე	ალკმაარი	შ	სპარტა 3:0	80	2 გოლი, შეცვალეს	1	2	1
გოგა გახოკიძე	ტვენტე	ს	როდა 0:2	60	შეცვალეს	1	0	16
რუსეთი. პირველი დივიზიონი								
გიორგი ლომაია	ხიმკი	ს	ლუჩ-ენერგია 1:2	90		12	0	7
გოგიტა გოგუა	ხიმკი	ს	ლუჩ-ენერგია 1:2	0	განაცხადში არ იყო	5	0	7
რევაზ გოცირიძე	კამაზი	ს	სკა-ენერგია 3:1	90		14	0	5
კახა მჟავანაძე	ანჟი	ს	ურალი 0:2	15	შეცვლაზე ითამაშა	20	1	8
მამუკა ლომიძე	ჩკალოვეცი	ს	პეტროტრესტი 4:1	0		11	0	12
ლევან ბერიშვილი	მ. კუზბასი	ს	ბრიანსკი 1:1	90	1 გოლი	21	2	19
პაატა ჯინჭარაძე	ბრიანსკი	შ	მ. კუზბასი 1:1	90		24	2	18
დავით ხმელიძე	ჩელიაბინსკი	შ	ყუბანი 2:0	0		8	0	10
ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა								
ამირან მუჯირი	ცსკა	შ	ლიტექსი 2:1	0	განაცხადში არ იყო	0	0	2
ავსტრია. მაქსბუნდესლიგა								
დავით მუჯირი	შტურმი	ს	აუსტრია 1:1	60	შეცვალეს, გააფრთხილეს	4	3	4
შვეიცარია. სუპერლიგა								
ლადო ახალაია	ციურიხი	შ	ქსამაქსი 3:2	0	სათადარიგო	2	0	1
ლატვია. უმაღლესი ლიგა								
ლევან კორლალიძე	სკონტო	ს	დინაბურგი 2:1	0		13	0	2
ზურაბ მენთეშაშვილი	სკონტო	ს	დინაბურგი 2:1	78	1 გოლი, გააფრთ,შეცვალეს	14	1	2
ზაალ ელიავა	სკონტო	ს	დინაბურგი 2:1	90		16	0	2
დავით ჩალაძე	სკონტო	ს	დინაბურგი 2:1	0		6	0	2

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

მილანი მილანურად იქნება

სილვიო ბერლუსკონი

„მილანის“ პატრონმა სილვიო ბერლუსკონიმ თქვა, ანდრეა შევჩენკოს გაყიდვას არ ვაპირებთ, ანტონიო კასანო კი შეიძლება „შავწითლად“ შევმოსოოთ.

უკრაინელ ფორვარდს „ჩელსი“ ეპოტინებოდა და 50 მილიონ გირვანქასაც იხდიდა, მაგრამ ბერლუსკონიმ ამას მონაჩმახი უწოდა: „გაზეთებში ასეთ ჭორებს იმიტომ ავრცელებენ, რომ ზაფხულში საწერი არაფერი აქვთ.“

რაც შეეხება კასანოს, „მილანის“ პატრონმა განაცხადა: „არ ვიცი, აპირებს თუ არა „რომაში“ დარჩენას. როცა მეკითხებიან, ვიყიდით თუ არა კასანოს კითხვით ვპასუხობ — რატომაც არა?“

მომავალი სეზონის და „მილანის“ შესახებ ბერლუსკონი ასე ბჭობს: გუნდი საკუთარ სათამაშო ყაიდას არ უღალატებს. უნდა ითამაშოს კარგი ფეხბურთი და ყოველთვის ფავორიტად ითვლებოდეს, რადგან ბოლო თვრამეტი წლის განმავლობაში ასე იყო.“

სილვიო ბერლუსკონის კარლო ანჩელოტის ტაქტიკა ბევრჯერ დაუწუნებია და მწვრთნელისთვის რჩევა მიუცია. განსაკუთრებით ორი თავდამსხმელით და ოთხი მცველით თამაშს ითხოვდა, მაგრამ ახლა ანჩელოტის სამკაციან დაცვას ურჩევს: „მეტოქე ერთი ფორვარდით თუ გიტევს, ოთხი მცველი ნაღდად ზედმეტია.“

„მილანი“ კასანოს შეძენაზე ფიქრობს, მანამდე კი შეიძლება მილან ბაროში დაიმატოს. ტრავმით გატანჯული ფილიპო ინძაგი სავარაუდოდ აგვისტოს ბოლოს გამოკეთდება, მაგრამ ექიმი ეჭვობს, რომ პიპო ძველებურ ფორმას ვეღარ აღიდგენს, ამიტომ გუნდს კიდევ ერთი თავდამსხმელი სჭირდება. მილანელები მარკო დი ვაიოს ვარიანტს განიხილავდნენ, მაგრამ მან უკვე ითამაშა ინტერტოტოზე „ვალენსიას“ შემადგენლობაში, რაფაელ ბენიტესის ათვალწუნებული მილან ბაროში კი ახალ გუნდს ეძებს და შესაძლოა სეხნია „მილანში“ აღმოჩნდეს.

ვაჟა ხუციშვილი

ესიენი ჩელსეაში

„ლიონის“ პრეზიდენტი ჟან მიშელ ოლა რომან აბრამოვიჩს „დანებდა“. გუშინ საღამოს ოლამ განაცხადა, რომ „ჩელსიმ“ ესიენის სანაცვლოდ 26 მილიონი გირვანქა გადაიხადა. ფეხბურთელი დღეს ლონდონში ჩავა და სამედიცინო შემოწმების გავლის შემდეგ კლუბთან სავარაუდოდ ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

აღსანიშნავია, რომ ეს ტრანსფერი ზაფხულის უძვირფასეს გარიგებად იქცევა.

„რამდენიმე დეტალია დასაზუსტებელი და მიკაელ ესიენი „ჩელსის“ ფეხბურთელი გახდება. ჩვენ ყველაფერი ვიღონეთ მის შესანარჩუნებლად, მაგრამ ამაოდ. „ლიონში“ დარჩენას უარობს, უკვე სამი ტური მიილია და ერთი წუთიც არ უთამაშია, ამიტომ არ გვსურს ისეთი ფეხბურთელის დატოვება, რომელიც გუნდში ვითარებას აურევს“ — თქვა გუშინ დილით ოლამ.

მიკაელ ესიენი 2000 წელს გაანის „ლიბერტიდან“ ფრანგულ „ბასტიაში“ გადავიდა და პირველ სეზონში 13 მატჩში ითამაშა. 2003-ში „ლიონმა“ 8 მილიონ ევროდ იყიდა და ზედიზედ ორჯერ საფრანგეთის ჩემპიონი გახდა.

ვაჟა ხუციშვილი

ალექსი დაბრუნდა



ალესანდრო დელ პიერო

„სკუადრა აძურა“ ხვალ დუბლინში ირლანდიას ამხანაგურად ეთამაშება. იტალიის ნაკრები კოვერჩანოშია და სამატჩოდ იქ ემზადება. მარჩელო ლიპიმ კვლავ უხმო ალესანრო დელ პიეროს, რომელსაც 2004 წლის სექტემბრის შემდეგ ეროვნულ გუნდში არ უთამაშია. გამოძახებული იყო ფრანჩესკო ტოტიც, მაგრამ იგი ავად გახდა და ახლა უნდა გამოშუშდეს. ხოლო ანტონიო კასანო ნაკრებს მიღმა დარჩა, რადგან „რომასთან“ პრობლემები აქვს მოსაგვარებელი და საირლანდიოდ არ სცალია.

ჯანლუიჯი ბუფონი „მილანთან“ გუშინწინდელ შეხვედრაში დაშავდა. „იუვენტუსის“ მეკარე კაკას შეეჯახა და მარჯვენა მხარი სტკივა. ბუფონის ნაცვლად კარში, სავარაუდოდ, მორგან დე სანკტისი ჩადგება, სათადარიგო კი „პალერმოს“ მეკარე მატეო გავარდალბენი იქნება.

ლიპის რჩეულთა შორის არიან ფიორენტინელი ლუკა ტონი და „არქივიდან ამოქექილი“ კრისტიან ვიერი. ნაკრების თავკაცი შანსს მისცემს ახლებსაც: სამპდორიელ აიმო დიანას, პალერმოელ სიმონე ბარონეს და რეჯინელ ჯანდომენიკო მესტოს.

აქვე გთავაზობთ იტალიის ნაკრების განაცხადს:

მეკარეები: დე სანკტისი, გავარდალბენი, რომა

მცველები: ბარძალი, კანავარო, გროსო, მატერაკი, ნესტა, ძაკარდო, ძამბროტა

ნახევარმცველები: ბარონე, კამორანეზი, დე როსი, დიანა, გატუზო, მესტო, პირლო

თავდამსხმელები: დელ პიერო, ჯილარდინო, იაკინტა, ტონი, ვიერი.

ვაჟა ხუციშვილი

უხეშის ადვოკატი



პატრიკ ვიეირას უხეშობა დასწამეს

წითელი ბარათების „მკრეფ“ პატრიკ ვიეირას ტურინში კრიტიკოსები გამოუჩნდნენ, ხშირად უხეშობსო, მაგრამ „იუვენტუსის“ გენერალურმა დირექტორმა ლუჩანო მოჯიმ ფრანგის ვექილობა იკისრა: „ვიეირა ჩემპიონია. შეიძლება ზოგჯერ ზედმეტად ხისტია, მაგრამ ბევრი დადებითი აქვს. ჯარიმის „აკიდებაც“ ფეხბურთის ნაწილია. მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველია და ამ სეზონში დიდად გვეიმედება მისი. „მილანმა“ მაშინ გაუშვა გუნდიდან, როცა ახალგაზრდა იყო, ახლა კი ვიეირა ჩემპიონია“.

ფრანგი ფეხბურთელი „იუვეს“ ნახევარდაცვაში ემერსონთან ერთად ითამაშებს, რომელიც შარშან გადავიდა ტურინულ კლუბში. ბრაზილიელს კონტრაქტი 2008 წლამდე აქვს, მაგრამ ტურინელები კიდევ ორით გახანგრძლივებას და წელიწადში 3 მილიონ გირვანქას სთავაზობენ. იტალიური მედიის ვარაუდით, ემერსონი მალე მოაწერს ხელს ახალ გარიგებას და კარიერას „იუვენტუსში“ დაასრულებს.

ვაჟა ხუციშვილი

ნიკაპგახეული



დავიდ ფერნანდესი და გორდონ ჩირპოლმი

ახალ გუნდში მისულ ფეხბურთელს მესამე დღეს მწვრთნელის ფეხსაცმელის ზომა სახეზე რომ დაეტყობა, „ნათლობაც“ ამას ჰქვია.

დავიდ ფერნანდესი გასულ პარასკევს „სელტიკიდან“ „დანდი იუნაიტედში“ გადავიდა, კეირას კი „ჰართსთან“ საშინაო მატჩში გახეულ ნიკაპზე სამი ნაკერით ითამაშა.

დანდელებმა პირველი ტაიმი 0:2 წაგეს მსაჯებზე გაბრაზებული ბასკელთა მწვრთნელი გორდონ ჩირპოლმი შესვენებისას გასახდელში „ტაკოდა“ და წყლის ბოთლებს დაერია. ვერ ხელით ისროდა, მერე ფესაცმელიც მაიხსნა, რომელიც გასძერა და უიღბლო ფეხბურთელს ნიკაპში მოხვდა. ესპანელ ფეხბურთელს ჭრილობა გაუკერეს და მეორე ტაიმში შეცვლაზე შეკდა.

ვაჟა ხუციშვილი

ტრადიციული პასუხი ტრადიციულ კითხვაზე

რადომირ ანტიჩი: რეალი ისევ ვარსკვლავებს ეთამაშება, ბარსელონა კი ცეცხლს

ესპანური ფეხბურთის კარგად მცოდნე სერბი მწვრთნელი რადომირ ანტიჩი ამჟამად უმუშევარია. „რეალის“, „ბარსელონას“, „ატლეტიკოსა“ და „სელტას“ ყოფილი თავკაცი სამშობლოში ისვენებს და საქმიან წინადადებებს ელის. მოცალეობის ჟამს მას მადრიდული AS-ის კორესპონდენტი სწვევია და ეს ქვემორე ინტერვიუც ამ სტუმრობის ნაყოფია.

რადომირ ანტიჩი

— რას საქმიანობს ახლა რადომირ ანტიჩი?

— საქმიანობის რა მოგახსენოთ, დასვენებით კი კარგად დავისვენე. ხანგრძლივი შვებულება გამომივიდა, იმიტომ, რომ იმ გუნდებში მუშაობა, რომლებიც თავისთან მიწვევდნენ, არ მოვინდომე. მე ისეთი გუნდის მწვრთნელობა მსურს, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს. „სელტას“, „ატლეტიკოსა“ და „ბარსას“ თავკაცობისას ეს გუნდები ჩემპიონთა ლიგაში კი ვთამაშე, მაგრამ წარუმატებლად. ამიტომ ერთგვარი დაუკმაყოფილებლობის გრძნობა მეუფლება და მხოლოდ ისეთ გუნდს გავწვრთნი, სულ მცირე, ლიგის ნახევრფინალში გასვლა რომ შეეძლება.

— თქვენ კარგად იცნობთ ესპანურ პრიმერას და მადრიდის „რეალს“. როგორ შეაფასებდით „სამეფო კლუბის“ წლევანდელ ტრანსფერებს?

— „რეალმა“ კიდევ ერთხელ დამტკიცა, რომ მისი სატრანსფერო პოლიტიკა ვარსკვლავების ყიდვისკენაა მიმართული, თუმც ეს სულაც არ გამოდგა შემადგენლობის დაბალანსების გარანტი. მაგალითად გავიხსენოთ წინა სეზონი, მიუხედავად მნიშვნელოვანი შენაძენებისა, დაცვის მარჯვენა ფლანგზე მანც ძირძველი მადრიდელი რაულ ბრავო თამაშობდა.

— თქვენ რომ „რეალის“ მწვრთნელი იყოთ, ჟულიო ბაპტისტასა და რობინიოს ყიდვისგან თავს შეიკავებდით?

— რა თქმა უნდა, არა. ისინი „რეალს“ აშკარად გააძლიერებენ. აი, პაბლო გარსია კი პრობლემებს ვერ მოაგვარებს, რადგან ის უნივერსალური ფეხბურთელი არ არის. დიეგოს მართალია მის შესაძლებლობებს კარგად არ ვიცნობ, მაგრამ მგონია, რომ ძირითადში ადგილის დამკვიდრება ძალიან გაუჭირდება. ის, ჩემი აზრით, უფრო მომავლის მოთამაშეა.

— გატყობთ, ლუშემბურგოს „რეალი“ არ მოგწონთ...

— წინა სეზონის ბოლოს ნაჩვენები რეგიანი შედეგების მიუხედავად, „რეალმა“ აშკარად ცუდად ითამაშა და ეს ჩემზე უკეთ ლუშემბურგომ უწყის. ამიტომ ბრაზილიელმა გუნდის გადახალისება გადაწყვიტა და ახალი ფეხბურთელების შეძენაც ამითაა განპირობებული.

— ერთწლიანი უქმობის მიუხედავად, ლუშემბურგოს ჯონათან ვუდგეიტის ძალიან ეიმედება...

— მძიმე ტრავმისა და კარგა ხნის უქმობის მერე, ჩემი აზრით, ვუდგეიტს ფსიქოლოგიური პრობლემები შეექმნება. მან საავადმყოფოში უფრო მეტი დრო გაატარა, ვიდრე მოედანზე და ამ გარემოებამ არ შეიძლება თავისი უარყოფითი როლი რომ არ ითამაშოს. ინგლისელს სათამაშო პრაქტიკა სჭირდება, რასაც ფორმააღუდგენელი „რეალის“ ძირითადში ვერ ეღირსება. ამიტომ, ვფიქრობ, მან ჯერ რეგულარულად უნდა ითამაშოს „რეალის“ სარეზერვო გუნდში.

— მოდით, ახლა „რეალის“ მთავარ მეტოქეზე, „ბარსელონაზე“ და მათ საზაფხულო ტრანსფერებზე ვილაპარაკოთ...

— „ბარსასთვის“ მნიშვნელოვანია იმ ოთხი ფეხბურთელის გამოჯანმრთელება, რომლებსაც წინა საჩემპიონო სეზონი ტრავმების გამო გაუცდათ. გაბრი უნივერსალური მოთამაშეა და ის რაიკარდის გუნდს ბევრ სარგებელს მოუტანს. მოტა ნახევარდაცვას მეტ სიხისტეს შემატებს, ედმილსონიც და ლარსონიც საკვანძო ფეხბურთელები გახდებიან. ახალშენაძენები, ვან ბომელი და ესკერო კი გუნდის სათამაშო კლასს და კონკურენციას გაზრდიან.

— კატალონიელებმა შემადგენლობა კი გააძლიერეს, თუმც კლუბის მმართველობაში რომ ყველაფერი რიგზე ვერაა, ალბათ თქვენც გიგებდით...

— „ბარსელონას“ ხელმძღვანელობა სტაბილურობაში ნაღდად მოიკოჭლებს. კლუბის მმართველობაში დაპირისპირება ცეცხლთან თამაშს ჰგავს და ის აუცილებლად იმოქმედებს გუნდის თამაშზეც. თუმც, ვფიქრობ, ისეთი ძლიერი პიროვნება, „ბარსას“ პრეზიდენტი ხუან ლაპორტა რომაა, შეძლებს პოზიციების შენარჩუნებას.

— თქვენი აზრით, რომელი გუნდი იქნება მომავალი პრიმერადივიზიონის აღმოჩენა?

— „ვილიარეალმა“ ბევრი კარგი ფეხბურთელი შეიძინა, მწვრთნელიც ფრიად განსწავლული და გამოცდილი ჰყავს. მჯერა, რომ სწორედ „ვილიასგან“ უნდა ველოდოთ სასიამოვნო სიურპრიზებს.

— „ვალენსია“ და „დეპორტივო“ საკუთარ თავს იპოვიან?

— „ვალენსიას“ თავსატეხი საკმარისზე მეტი მოთამაშეა, ვფიქრობ, რომ კლუბის თავკაცობი რამდენიმე ფეხბურთელს უნდა შეელიოს. „დეპორტივო“ კი მოისაკლისებს ორ საკვანძო მოთამაშეს — ფრანსა და მაურო სილვას ერთიცაა, ინტერტოტოს თასზე თამაშმა შესაძლოა გუნდი გამოფიტოს, ჩემი აზრით, „დეპორს“ შობის დადგომისთანავე ჩავარდნა დაეწყება.

— და ბოლოს. ვინ მოიგებს პრიმერას?

— ახალს ვერაფერს გეტყვით. ჩემპიონობისთვის, ტრადიციულად, „რეალი“ და „ბარსა“ იბრძოლებენ. ამ ორის დუელში კი, ვფიქრობ, გამარჯვებული „რეალი“ დარჩება.

იონ კარეუ „ლიონშიც“ შეუჩერებელია

პირველი გოლი, პირველი ქულა

საფრანგეთი

I დივიზიონი. III ტური

სტრასბური 1:2 მონაკო

0:1 სკილაჩი (48), 0:2 ჩევანტონი (79), 1:2 ლე-პენი (90)

მარსელი 1:1 ლიონი

1:0 ტაივო (6), 1:1 კარეუ (35)

მესამე ტურამდე უქულო და უგოლო „მარსელმა“ ჩემპიონ „ლიონთან“ ფრე გაახერხა — სეზონში პირველი გოლიც გაიტანა და ქულაც მიითვალა. მასპინძლები მეოთხე წუთზე მსაჯს აუხირდნენ, რომელმაც მამადუ ნიანგის წაქცევისთვის პენალტი არ დანიშნა, სამაგიეროდ, სამი წუთის შემდეგ ტაივ ტაივომ საჯარიმო დარტყმით გაიტანა. ბურთმა ფლორენ მალუდას ფეხისგან გეზი იცვალა და დაბნეული გრეგორი კუპეს კარში შევარდა.

„ლიონმა“ პირველივე მომენტი გოლად აქცია. სიდნეი გოვუს პასით იონ კარეუმ გაათანაბრა და მესამე მატჩში მესამე გოლი გაიფორმა. მოგვიანებით თვითონ გოვუს შეეძლო გატანა, როცა კუთხურიდან ბურთი კარში ჩაახვია, მაგრამ ჰაბიბ ბეიემ ხაზიდან გამოიტანა.

„თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ვაგებდით და გავაიანაბრეთ, ქულით კმაყოფილი ვარ“ — თქვა „ლიონის“ თავკაცმა ჟერარ ულიემ. მეორე ტაიმში გუნდმა ძალიან კარგად ითამაშა და ახლავე შეძლია ამ მატჩს სეზონში ერთ-ერთი საუკეთესო ვუწოდო“.

„ფრე ლოგიკურია — განაცხადა „მარსელის“ ნახევარმცველმა საბრი ლამუშიმ — ქულა ნაღდად დავიმსახურეთ. თავი არ დავვიზოგავს, მაგრამ მეორე გოლი ვერ გავიტანეთ.

„ჯერ „ოსერთან“, შემდეგ კი სევილიის „ბეტისთან“ მარცხით შეფუცხუნებულმა „მონაკომ“ სტრასბურიდან სამი ქულა წაიღო სებასტიენ სკილაჩიმ ნაკუთხურად ბურთის საგოლედ უთავაზა და ანგარიში გახსნა, ხოლო მცველის შეცდომის წყალობით მეკარესთან პირისპირ გასულმა ჩევანტონიმ მეორე გაიტანა. შეხვედრის ბოლო წუთზე ულიხ ლე პენმა ერთი გაქვითა და ეს გოლი „სტრასბურისთვის“ სეზონში პირველი გამოდგა.

ვაჟა ხუციშვილი

ბოლივიელ მსაჯს პლატინის თავური მოხვდა

ბოლივიის ფეხბურთის ფედერაციამ ამ ქვეყნის სახელგანიქმული ფეხბურთელი, 36 წლის ვეტერანი ერვინ „პლატინი“ სანჩესი თვრამეტთვიანი სანქციით დაჯარიმა. საქმე იმ გახლავთ, რომ მხცოვან სანჩესს, ვინც ამჟამად ბოლივიური „ორიენტე პეტროლეოს“ წევრია, იქაურ „ბლუმინგთან“ შეხვედრაში მსაჯობა არ მოეწონა და არბიტრ უილსონ ალიგას ალალად დაჰკრა სანოკაუტო თავური...

„პლატინი“ — ერვინ სანჩესი

ეს ყველაფერი 14 მარტს მომხდარა და ფედერაციაც ფიცხი ლეგენდა კაცის დასჯას კარგა ხანს ავჯანჯღლებდა, თუმც დაზარალებულის ახლობლების მრავალგზისი ჩივილის შემდეგ იძულებულნი გახდნენ სანჩესისთვის მოედანზე გასვლა წელიწადნახევრით აეკრძალათ. „პლატინის“ ეს სანქცია ბევრს ვერაფერს დააკარგვინებს — პორტუგალიური „ბოავიშტას“ ექსფეხბურთელი და მწვრთნელი ლისაბონში მეფესავით ცხოვრობს და თანამემამულეთა სიმკაცრეზე ალბათ ხალისიანად ეცინება... მითად და ლეგენდად კი სენიორ სანჩესს ბოლივიაში 1994 წელს გატანილი გოლის გამო თვლიან ის ერთადერთია, რომელმაც ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში ამერიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოწინააღმდეგის კარი დალაშქრა.

ლადო ხომერიკი

სამხრეთული სამშაბათი

ლადო ხომერიკი

არგენტინა

აპერტურა. II ტური

ველესი 0:1 ხუნიორსი
0:1 კორდობა (23)

ნიუელზი 2:1 ტირო ფედერალი
1:0 ს. სილვა (68), 2:0 მანსო (74), 2:1 იუვალე (89)

კოლონი 0:2 რასინგი
0:1 ესტევესი (49), 0:2 კაპრია (81)

არსენალი 1:1 ხიმნასია ლა პლატა
1:0 სილვიო (40), 1:1 გოუ (69)

ინდეპენდიენტე 3:0 ინსტიტუტო
1:0 აგიერო (33), 2:0 პაბრო (67), 3:0 აგიერო (83)
გაძევება: პუსინერი (41, ინდეპენდიენტე), ბარიენტოსი (41, ინსტიტუტო)

ოლიმპო 1:1 ლანუსი
1:0 მაჯოლო (35), 1:1 ჯოდა (45)

ესტუდიანტესი 0:1 სან ლორენსო
0:1 ლავესი (54)
გაძევება: მელენდესი (85, ესტუდიანტესი)

ბოკა ხუნიორსი 2:2 როსარიო
0:1 ალემანი (2), 1:1 ბილოსი (77), 1:2 გაგო (79ს.კ.), 2:2 ბაროში (90)
გაძევება: რუსო (68, როსარიო)

ბანფილდი 0:0 კილმესი

ხიმნასია ხ 0:0 რივერ პლეიტი

მითვრალი ინჩასები და წმინდანი ბაროშ შელოტო

გილერმო ბაროშ შელოტო გოლის გატანას ხარობს

პატაგონიელთა კლასუურას ჩემპიონ „ველეს სარსფილდს" ბედმა ზურგი აქცია — მიგელ ანხელ რუსოს გუნდმა ჯერ 2005-ის აპერტურას გახსნით მატჩში „სან ლორენსოსთან" 3:2 წააგო, მერე კი 12 აგვისტოს მეორე ტურში საკუთარ „ელ ფორტინზე" მომხვდურ „არხენტინოს ხუნიორსთან" 0:1 შეირცხვინა თავი. ყველაფერი შეხვედრის 23-ე წუთზე გადაწყდა — სტუმრების ლეონარდო პისკულიჩიმ ლამაზად მოატყუა ორი მეტოქე და კარგი პასით გუსტავო მაჩინი მოამარაგა. ვისაც თავის მხრივ ხელსაყრელ პოზიციაზე მდგომი კორდობას დანახვა არ გაჭირვებია ძლიერი დარტყმა და „ველესის" გოლკიპერი სესა კარში აფართხალებულ ბურთს მხოლოდ უმწეოდ ადევნებს თვალს. 41-ე წუთზე მოქმედ ჩემპიონებს მატჩის და ტრიბუნებზე ჯავრით ცეცხლმოკიდებული გაუჩოების გუნება-განწყობის გადარჩენა ერთად შეეძლოთ, თუმც მსაჯმა ასპროცენტიანი პენალტი არ დანიშნა... გამხეცებულმა ინჩასებმა არბიტრს ბოთლებისა და სხვა საგნების სეტყვა დაუყარეს, „ველესი" კი ზედიზედ ორი წაგებით სატურნირო ცხრილში ამჟამად მე-17 ადგილზეა.

შაბათს „კოლონის" მოიერიშეებს" „რასინგის" კარში გუსტავო კამპანუოლოს ნაცვლად ჯოჯოხეთის მცველი ცერბერი დაუხვდათ — „რასინგის" გოლკიპერმა იმდენი გასროლა უკუაგდო, რომ ადგილობრივი ჯომარდები, სურიტა, კომინგესი და ლუსენჰოფი სასოწარკვეთას მიეცნენ. სამაგიეროდ, სტუმრებმა იხალისეს — მეკარის ვაჟკაცობით ფრთაშესხმულმა ესტევესმა და კაპრიამ „კოლონას" თამაშის მეორე ნახევარში ჭედეს ლამაზი გოლები. მიუხედავად საწყენი ანგარიშისა, მატჩის მერე მასპინძელთა ფერნანდო კროსა „რასინგის" დიეგო კროსას მიეახლა და გულით მიულოცა გამარჯვება. უცნაური აქ მხოლოდ ის არის, რომ ძმები კროსები მუდმივად სხვადასხვა გუნდში თამაშობენ — აქამდე მათი ჯახი („ნიუელზი"-„ველესი" და „ნიუელზი"-„ბოკა") ორჯერ 1:1 დამთავრებულა.

სარანდის „არსენალმა" „ხიმნასია ლა პლატასთან" მხოლოდ 1:1 შეძლო და ვინძლო ამით კატასტროფაც აიცილა თავიდან. „ხიმნასიას" მთვრალი ინჩადა ჯერ მატჩის დაწყებამდე სტადიონის სალაროებს მიაწყდა, იქ გასაგებია, რომ ბილეთებს არავინ დაახვედრებდათ და ნაყლაპმა გაუჩოებმაც სტადიონის იერიშიც აღება სცადეს. საქმეში პოლიცია ჩაერთო და შეხვედრის უფასოდ ნახვის მსურველ ფანებს გულდაგულ დაუხეთქა თავ-პირი. მერე ჩხუბი ტრიბუნებზეც ატყდა და „ლა პლატას" რომ წაეგო, არავინ იცის, გაჯიქებული მომხვდურები რას იზამდნენ. ისე, „არსენალის" მწვრთნელმა ბიანკომ მაინც დაიჩივლა, გამარჯვება ჩვენ გვეკუთვნოდა და საპასუხო ბურთი იმათ ფრიად საეჭვოდ გაგვიტანესო...

ლა-პლატელებისგან სრულიად განსხვავებული გულშემატკივრობა სცოდნიათ როსარიოში. იქაურმა „ნიუელზმა" „ტირო ფედერალი" მიიღო და მაყურებლები სტუმართა ახალ, თავიანთვის კი კარგად ნაცნობ დამრიგებელს ხორხე კასტელის აღტაცებული ოვაციებით შეეგებნენ. სიხარული სიხარულად და „ნიუელზ ოლდ ბოისმა" მოწინააღმდეგე 2:1 დაამარცხა. წაგებულთაგან კარგ გუნებაზე მარტო ლუვალე გახლდათ — ამ კაცმა „ფედერალეს" ასწლიანი ისტორიის მანძილზე უმაღლეს დივიზიონში ბურთის გატანა პირველმა შეძლო...

კვირას მწვანე მინდვრებზე არგენტინული გრანდები, „ბოკა ხუნიორსი" და „რივერ პლეიტი" გამოჯირითდნენ, თუმცა თავიანთი ინჩასობა ბევრი ვერაფრით გაახარეს. გილიერმო ბაროშ შელოტოს მატჩის მესამე დამატებით წუთზე სასწაულებრივი გოლი რომ არ გაეტანა, „ლა ბონბონერას" გმირები „როსარიო სენტრალთან" 1:2-ს წააგებდნენ.

ჰო „ბონბონერა" ვახსენეთ და ისიც ვთქვათ, რომ „ბოკამ" ლიბერტადორესის თასზე მექსიკურ „ჩივასთან" ხულიგნობისთვის დისკვალიფიცირებულ სტადიონზე აპერტურას პირველი ტური ვერ ითამაშა, კვირას კი ბურთაობადანატრებულ არენაზე ორჯერ მარცხდებოდნენ „როსარიოსთან".

„ხუნიორსს" ვერც ბილოშის ქუსლურები უშველის, ვერც პალერმოს სიშლეგე და ვერც დიასის ელეგანტურობა — ამ ხალხმა კომბინაციური თამაში თუ ვერ ისწავლა, „ბოკას" ფასი გროში გახლავთო — წერდა პატაგონიური „ლარინი".

„რივერ პლეიტმა" კი ხუხუის „ხიმნასიასთან" საერთოდ გოლის გატანა ვერ შეძლო — თამაში ასეც მორჩა, ულიმლამო 0:0 თქმა არ უნდა, იმას რომ უმაღლეს ლიგაში ახლად ამოცოცებულ ხუხუის არენაზე 25 ათასი იქაური ფანი „მილიონერებთან" ქულის შენარჩუნების გამო დაუვიწყარ ფიესტას მოაწყობდა. „ხიმნასიამ" წინა ტურში „რივერის" დაუძინებელ მტერ „ბოკასთან" 4:1 წააგო.

ხორხე ბურუჩაგას „ესტუდიანტესი" 14 აგვისტოს არგენტინული აპერტურას სუპერკლასიკოდ მიჩნეულ მატჩში „სან ლორენსოს" გადაეყარა და ამ უშეცდომოდ მომუშავე „სიკვდილის მანქანასთან" 0:1 დათმო. ხსენებული საპატიო რამ „სან ლორენსოსთვის" შეცდომით არ უწოდებიათ — გუსტავო ალფაროს გუნდი დაცვაშიც და თავდასხმაშიც ყველანაირი ჯურის მეტოქეს ერთნაირად ამწარებს. გოლი 55-ე წუთზე ლავესიმ გაიტანა, იქამდე და იმის მერე კი „სტუდენტთა" გავეშებულ მეტოქეს ალფაროს ბუღა ბიჭები დაცვაში მყარი თამაშით შეუბრალებლად ამსხვრევდნენ. შეხვედრა ფრიად უხეში გამოდგა და არბიტრმა სეკეირამაც უხვად აფრიალა წითელ-ყვითელი ბარათები. „სან ლორენსო" ამ ტრიუმფით ცხრილში მეორე ადგილზეა, ხოლო თავჩაქინდრული „ესტუდიანტესი" ბოლო შვიდი მატჩია მოგებას ვერ ახერხებს — უკანასკნელად კლაუსურაში სუსტი „ოლიმპო" 2:0 დაამარცხა...

აპერტურას დღევანდელმა ლიდერმა „ინდეპენტიენტემ" მარტინ ფაბრესა და ბრწყინვალე სერხიო აგეროს წყალობით „ინსტიტუტოს" 3:0 მოუგო. „იმედია, ხულიო სეზარ ფალკონის შეგირდები ბურთაობას ამ სტილში გაგრძელებენ. მთელი არგენტინა „ინსტიტუტოს" ფანების ჩაოვლით სულგანაბული უყურებდა, თუ როგორ შესანიშნავ, შემტევ ფეხბურთს თამაშობს „ინდეპენდიენტე" — აღნიშნავდა იქაური „ლა ნასიონი".

და ბოლოს, „ბანფილდის" ტრავმირებულთა სიას (8 ფეხბურთელი) „კილმესთან" ჯაჯგურა 0:0-ის მერე კიდევ ორი კაცი მიემატა (იოლად სავარაუდოა, ეს გუნდი მომავალ ტურში რასაც მოიმკის) და „ოლიმპოს" მეკარე ცნობილი კარლოს როა ესპანეთში ხანგრძლივი პილიგრიმობის შემდეგ პირველად წარსდგა თავისი ძველი „ლანუსის" წინაშე. თამაში 1:1 დასრულდა და კარლოსს ოდინდელმა ძმაკაცებმა გოლი პირველი ტაიმის ბოლო წუთზე მიართვეს...

ინდეპენდიენტე	2	2	0	0	7:2	6
სან ლორენსო	2	2	0	0	4:2	6
ბოკა ხუნიორსი	2	1	1	0	6:3	4
რასინგი	2	1	1	0	2:0	4
რივერ პლეიტი	2	1	1	0	2:0	4
ნიუელზი	2	1	1	0	3:2	4
ხიმნასია ლპ	2	1	1	0	2:1	4
ხუნიორსი	1	1	0	0	1:0	3
როსარიო	2	0	2	0	3:3	2
ოლიმპო	2	0	2	0	2:2	2
კილმესი	2	0	2	0	1:1	2
ბანფილდი	2	0	2	0	0:0	2
არსენალი	1	0	1	0	1:1	1
ლანუსი	2	0	1	1	3:5	1
ხიმნასია ხ	2	0	1	1	1:4	1
ესტუდიანტესი	1	0	0	1	0:1	0
ველესი	2	0	0	2	2:4	0
ტირო ფედ.	2	0	0	2	1:4	0
ინსტიტუტო	1	0	0	1	0:3	0
კოლონი	2	0	0	2	0:3	0

ხავიერ მასკერანო მთელი ევროპის ოცნებაა

ხავიერ მასკერანი

კორინთიანსელი ხავიერ მასკერანოს შეძენით მადრიდის „ატლეტიკოს" თავკაცები დაინტერესდნენ. „ელ ხეფესიტო" (პატარა ბელადი) ამჟამად მხოლოდ 21 წლისაა, თუმცა მსოფლიო სტადიონებზე ნაჩვენები შესანიშნავი ბურთაობით მრავალი ევროპული გუნდის ყურადღება მიიპყრო — ხსენებულ „ათლეტთა" გარდა ხავიერს „დეპორტივოს", მადრიდის „რეალის", „არსენალის", „აიაქსისა" და „იუვენტუსის" წარმომადგენლებმაც მიაკითხეს. თუმც „ატლეტიკოს" განზრახვა სხვაზე უფრო სერიოზულია, არგენტინული მედიის ცნობებით, ბრაზილიაში მოთამაშე თანამემამულეს მადრიდელთა არგენტინელი დამრიგებელი კარლოს ბიანკი სულით და გულით ელოდება.

მასკერანო ევროკავშირელი გახლავთ, კერძოდ კი იტალიური პასპორტი აქვს და მისი მადრიდში გადასვლა დამატებით პრობლემებს არ შექმნის. შეგახსენებთ, რომ „ელ ხეფესიტოს", რომელიც 2004-ის კოპა ამერიკაზე საუკეთესო მობურთალად დაასახელეს, თავის ამჟამინდელ კლუბთან კონტრაქტით კიდევ 5 წელიწადი უწევს თანამშრომლობა, თუმც თუ ბიანკის მადრიდული სარფიანად გაიკრავს ჯიბეზე ხელს, მასკერანო უყოყმანოდ გადავა ესპანეთში — მისი ოცნება რომელიმე ევროპულ გრანდში ბურთაობაა.

„ჩვენ „კორინთიანსის" მეპატრონეკია ჟურაბჩინთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ. მასკერანო სწორედ ისეთი მძლავრი ტიპის ნახევარმცველია, რომელიც „ატლეტიკოს" სჭირდება" — განუცხადა ბრაზილიურ „ო გლობოს" ტონი მუნიოსმა, მადრიდული გუნდის სპორტულმა დირექტორმა.

როი გერდის კვალზე

საკვირველი თომას დოლი და კიოლნი



ჰალილ ალტინტოპმა ჰეთ თრიკი შეასრულა

ბუნდესლიგის მეორე ტურიც სახალისო და უხვგოლიანი გამოდგა. გუნდებმა ამჯერად 33 ბურთით დაგვასაჩუქრეს. ყურადღების ცენტრში და ცხრილის სათავეში კი ისევ „ბაიერნია". „გლადბახის" განადგურების (3:0) შემდეგ მიუნხენელებმა „ლევერკუზენი" არ დაინდეს, თანაც გასელაზე — 5:2.

როგორც უკვე იცით, როი მაკაის ბუნდესლიგაში 50 გოლი მოუგროვდა 67 მატჩში. აქედან 14 ჰოლანდიელმა ფორვარდმა ჩემპიონატის ბოლო 6 შეხვედრაში შეაგდო. შთამბეჭდავი შედეგია...

„მას ჩვენთან ერთად პირველად ჰქონდა სრულფასოვანი წინასასეზონო მზადება და შედეგიც სახეზეა. როი თითქმის ყველა შანსს იყენებს. იგი ბრწყინვალე ფორვარდია. რაც შეეხება მთლიანად გუნდს, კარგად დავიწყეთ, მაგრამ ჯერ ყველაფერი წინ არის. „შალკე" და „ვერდერიც" დამაჯერებლად გამოიყურებიან. ასე რომ, სეზონის ბოლომდე რთული ბრძოლა გველის" — აღნიშნა მიუნხენელთა თავკაცმა ფელიქს მაგათმა.

როი მაკაი: „ბრწყინვალედ დავიწყეთ, გასვლით მატჩში, თან ასეთ მეტოქესთან 3 გოლს ყოველთვის ვერ გაიტან. უფრო მეტად ეს მწვრთნელის დამსახურებაა. იგი მთელი ზაფხულის მანძილზე გვარიგებდა და გვეუბნებოდა, რომ მოდუნება არ შეიძლება. ცხადია, ჩემი შედეგიანობაც მახარებს. ვფიქრობ, ნორმალურ ფორმაში ვარ".

„ბაიერნი" ჯერჯერობით ისევ ყველაზე სოლიდურ შთაბეჭდილებას ახდენს, განსაკუთრებით ნახევარდაცვაში. დამაჯერებლად თამაშობს ოლივერ კანიც.

ცოტა გასაკვირია, „ჰამბურგის" ჩინებული სტარტი, თუმც გუნდი საკმაოდ სერიოზულად გამოიყურება. გასული სეზონის მეორე ნახევარში ჰამბურგელთა რიგებში თომას დოლის მისვლამ სიტუაცია ერთიორად შეცვალა. ახალმა მწვრთნელმა, კლუბი სხვაგვარად აათამაშა და ცხრილის ბოლოდან ზედა ნაწილში უკრა თავი.

„ჰამბურგს" ეს განწყობა ამ სეზონშიც გადმოჰყვა. პარალელურად გუნდი წარმატებით თამაშობს ინტერტოტოს თასზე და დიდი შანსია, უეფას თასის საგზურიც მოიპოვოს.

თომას დოლის მთავარი დამრტყმელი ძალა ისევ ვეტერანი ფორვარდი სერგი ბარბარესია. მის ანგარიშზე უკვე სამი გოლია და ამ ორ ტურში ჰამბურგელთა გამარჯვების მთავარი შემოქმედი სწორედ ბარბარესი გახლავთ. კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს 25 წლის ნახევარმცველი დავიდ იაროლიმიც, რომელმაც ორივე შეხვედრა მაღალ დონეზე ჩაატარა და თავის პოზიციაზე ბუნდესლიგაში ერთ-ერთი საუკეთესოა. ამას რაფაელ ვან დერ ვაარტიც ემატება. ახალგაზრდა ჰოლანდიელი ვარსკვლავი ნელ-ნელა გერმანულ ფეხბურთს ალღოს უღებს და უკვე გოლის გატანაც მოასწრო. ბოლოს კი შტეფან ვეხტერზეც ვთქვათ. „ჰამბურგის" გოლკიპერს რა ხანია, გოლი არ გაუშვია და ჯერჯერობით ბუნდესლიგაშიც კარს მშრალად ინახავს. მეორე ტურში იგი უდავოდ საუკეთესო იყო.

მთავარ სიურპრიზად კი ბუნდესლიგაში დაბრუნებული „კიოლნი" გვევლინება. რომელმაც ორივე თამაში მოიგო და ახლა სხვა ლიდერებთან ერთად მდევრებს ზემოდან დაჰყურებს. ჯერჯერობით იმის თქმა შეგვიძლია, რომ უვე რაპოლდერის ახალგაზრდული გუნდი ძალიან სიმპათიურად გამოიყურება და ბრძოლის უნარს ავლენს.

დამაჯერებლად ბურთაობს ბრემენის „ვერდერიც", რომლის ფორვარდებიც, მიროსლავ კლოზე და ივან კლასნიჩი ერთმანეთს ეჯიბრებიან და გოლებიც წყვილ-წყვილად გააქვთ. „მუსიკოსთა" მთავარი მწვრთნელი თომას შაფი სიმშვიდეს ინარჩუნებს, ჯერ ბევრი გვაქვს სამუშაო და არ უნდა მოვდუნდეთო.

გელზენკირხენის „შალკე" ზედიზედ ორი მატჩია, პირველ გოლს უშვებს, მაგრამ მერე ორის გატანას ახერხებს. განსაკუთრებით აღსანიშნავი გასულ ტურში მოპოვებული გამარჯვება იყო. რალფ რანგნიკის გუნდმა ხომ ერთ-ერთი საძულველი მეტოქე „დორტმუნდი" რურის დერბიში თავისივე მოედანზე წააქცია. ეს კევინ კურანის დამსახურებაა, რომელმაც დუბლი გაახერხა და მაღალი შეფასებაც მიიღო. თუმცა თუ „შალკემ" ყოველ ტურში ასე იწვალა, ვინძლო ქულების კარგვა მალე დაიწყოს.

„ლაუტერნმა" და „დუისბურგმა" ერთმანეთს 8 გოლი გაუტანეს. თავი გაიგიჟა „წითლების" ახალგაზრდა ფორვარდმა ჰალილ ალტინტოპმა, რომელმაც პრესისგან კვლავ კარგი შეფასება დაიმსახურა, მთლიანობაში „ლაუტერნი" ნორმალურად გამოიყურება გუნდის წინა ტურში „შალკესთან" გამარჯვებაც შეეძლო, მაგრამ...

„დუისბურგს", რომელმაც პირველ ტურში ყველა გააოცა ურიგოდ არ უბურთავია. ნორბერტ მეიერის შეგირდებმა, რაც შეეძლოთ, იბრძოლეს და გაშვებული 5 გოლის მიუხედავად, კვლავ სიმპატია დაიმსახურეს.

ცოტა მეტს ველოდით, „ვოლფსბურგისგან", რომელიც გლადბახში ბოლო წამებამდე კი ივებდა, მაგრამ მასპინძლები მეორე ტაიმში ათი კაცით დარჩენილ „მგლებთან" საგრძნობ უპირატესობას ფლობდნენ და საბოლოოდ გაათანაბრეს კიდეც. შედეგად ჰოლგერ ფახის გუნდი ისევ მხოლოდ ქულას დასჯერდა.

გამოვარჩიოთ ბერლინის „ჰერტას" მოგებაც. დედაქალაქელებმა კვლავ მძიმედ დაიწყეს, თუმც საკუთარ კედლებში „ინტრახტის" გატეხვა მაინც მოახერხა და პირველი გამარჯვება გაიფორმეს.

და ბოლოს ისევ როი მაკაის მივუბრუნდეთ. სტატისტიკა გვაჩვენებს, რომ ჰოლანდიელი „ბაიერნის" ლეგენდარულ ფორვარდ გერდ მიულერზე პროდუქტიულია. ასეთი შედეგიანი სტარტი მიუნხენურ კარიერაში თვით მიულერსაც არ ჰქონია...

გიორგი კაკაბაძე

კაკამ (მარჯვნივ) გოლიც გაიტანა და ბუფონიც დააშავა

მილანმა იუვე დააშავა

თასი ჩვენ, ბოდიში თქვენ

„მილანმა" და „იუვენტუსმა" ტრადიციული ბერლუსკონის თასი გაითამაშეს. მატჩის წინ ორივე კლუბის წარმომადგენლები ამბობდნენ, ეს ამხანაგური შეხვედრაზე მეტია და არაფერს დავიმობიო, ასეც გამოდგა...

ორივე გუნდი მინდორზე ექსპერიმენტალური სქემით გავიდა. კარლო ანჩელოტი ოთხკაციან დაცვას დაუბრუნდა და მარეკ იანკულოვსკი მარცხენა მცველად ათამაშა. ფაბიო კაპელომ კი პაველ ნედვედს მარჯვენა ნახევარმცველის პოზიცია ჩააბარა.

მატჩი ტურინელთა უპირატესობით დაიწყო და პირველი მიმენტიც მათ შექმნეს — იბრაჰიმოვიჩის დარტყმული დიდას სახეში მიხვდა. შემდეგ „როსონერის" ჯერიც დადგა. თავისი ყოფილი კლუბის „იუვენტუსის" წინააღმდეგ „მილანის" მაისურით პირველად მოთამაშე კრისტიან ვიერის კინადამ ანგარიში გახსნა.

მე-18 წუთზე პაოლო მალდინი პაველ ნედვედს ეუხეშა და ჩეხიც შესაცვლელი შეიქნა, რამდენად სერიოზულია ტრავმა, ჯერჯერობით უცნობია. ცოტა ხანში „იუვეს" ფრანგი ლეგიონერების ძმებინა-ტრეზეგვიერას მშვენიერი კომბინაცია ამ უკანასკნელის გოლით დასრულდა. მოგეხსენებათ, ეს ვიერას პირველი ბურთია „ბიანკონერის" რიგებში.

რამდენიმე წუთში სხვაობის გაზრდა შეეძლო იბრაჰიმოვიჩს, მაგრამ შვედმა ისევ ვერ იხეირა.

მეორე ტაიმი აშკარად „მილანისა" იყო. კარლო ანჩელოტის გუნდი უფრო ცოცხლად გამოიყურებოდა.

53-ე წუთზე შევჩენკოს აქტიურობას კაკას გოლით მოჰყვა. ბრაზილიელს მალე მეორეს გატანაც უნდოდა, მაგრამ ჯანლუიჯი ბუფონმა თავი არ დაზოგა და თავგანწირულ ნახტომში კაკს შეეჯახა, რის გამოც წამით გონებაც დაკარგა და სულ ცოტა ერთი კვირა აღარ ითამაშებს. ტურინელი ექიმები კი შიშობენ, რომ ბუფონს შეიძლება ორი თვე გაუცლელ.

„მილანისთვის" გამარჯვების ბ. მტანი გოლი პირლოს დახმარებით შეცვლაზე შესულმა რუი კოშტამ და სერჟინიომ გამოიცხვეს. შეჯიბრებულ მოთამაშე პირტუალელეს ბრაზილიელმა უპასა და მანაც ხუსტი დარტყმით ბერლუსკონის თასი „როსონერის" დაუტოვა.

კარლო ანჩელოტი: „მეორე ტაიმში კარგად ვითამაშეთ, პირველში ბევრი მინუსი გვქონდა. რაც შეეხება ნედვედისა და ბუფონის ეპიზოდებს, ეს უბრალოდ საბრძოლო შეჯახებები იყო, თუმცა ჩვენ ძალიან ვწუხვართ, განსაკუთრებით ბუფონის გამო, კაკამ უკვე ყველას მოუბოდიშა".

„საძულეხარია, რომ სეზონის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე ამდენი მოთამაშე გვეკარგა. დაშავებული მალდინიმ და კაკამ ძალიან უხეშად ითამაშეს. მართალია, ბერლუსკონის თასი მნიშვნელოვანია, მაგრამ არა იმდენად, რომ მოთამაშეები ასე გაწირო. რაც შეეხება თამაშს, შედეგს რომ შევაშვაო, პირველი ტაიმით კმაყოფილი ვარ. მეორე ნახევარში კი „მილანმა" რამდენიმე ჭკვიანური შეცვლა გააკეთა და კარგად ითამაშა" — აღნიშნა „იუვეს" მთავარმა მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ.

გიორგი კაკაბაძე

ბერლუსკონის თასი

მილანი 2:1 იუვენტუსი

0:1 ვიერა (20), 1:1 კაკა (53), 2:1 სერჟინიო (77)

მილანი: დიდა, კაფუ, სტამი, მალდინი (ნესტა 46), იანკულოვსკი (კალაძე 46), გატუზო (ზეედორფი 46), პირლო, ამბროზინი, კაკა (რუი კოშტა 62), ვიერი (ჯილარდინო 46), შევჩენკო (სერჟინიო 69)

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

იუვენტუსი: ბუფონი (კიმენტი 58), ძებინა (ბლაზი 53), ტურამი (კოვაჩი 58), კანავარო, ძამბროტა, პესოტო, ემერსონი (ჯანიკედა 69), ვიერა, ნედვედი (მუტუ 18), ტრეზეგე (ზალაიეტა 69), იბრაჰიმოვიჩი (დელ პიერო 58)

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

მსაჯი: დონდარინი

გაილვიძეთ! სანამ ქულებს დავკარგავდეთ

ჯო კოული „უიგანელთა“ გარემოცვაში

პრემიერლიგა ცოტა უცნაურად, მაგრამ რიხიანად დაიწყო. „ალბიონზე“ ბურთის გორება ყოველთვის ეხერხებოდათ და რა გასაკვირია, რომ ეს ახლაც კარგად გამოსდით. ჩვენ კი სიამოვნება მივიღოთ და ვეცადოთ, უფრო ღრმად ჩავიხედოთ ინგლისურ ფეხბურთში.

დავიწყოთ იმით, რომ პირველ ტურში უკლებლივ ყველა ფავორიტს გაუჭირდა, მაგრამ თითქმის ყველამ („ლივერპულის“ გარდა) მოგება მაინც მოახერხა, სხვებზე მარტივად ეს „მანჩესტერმა“ გააკეთა, ერთი შეხედვით, „წითელ ეშმაკებს“ ყველაზე ძლიერი მეტოქე ჰყავდათ...

„ჩელსიმ“ და „არსენალმა“ კვირას ითამაშეს და უკვე კარგად იცით, რომ ძლივძლივობით შეძლეს 3 ქულის მოპოვება. „მეთოფეებს“ კიდევ არა უშავდათ, ჟოზე მაურინიოს შეგირდებმა კი ცოტა არ იყოს, გაგვაკვირვეს.

ვინ ვინ და ჟოზე მაურინიუმ თავად ყველაზე უკეთ იცოდა, რომ მის გუნდს უჭირდა. ამის გამო პორტუგალიელმა მეორე ტაიმში სამივე შეცვლა გამოიყენა, რამაც საბოლოოდ გაამართლა, მატჩის შემდგომ კი მან გულწრფელად ისაუბრა და ყველაფერი ზუსტად გაანალიზა.

„უიგანს“ წაგება არ დაუმსახურებია, მეც გული დამწყდა ამ სიმპატიურ და ორგანიზებულ გუნდზე. ჩვენ კი ცუდად ვითამაშეთ ერთადერთი იავს ვიცავდით კარგად. რამდენიმე მოთამაშით ძალიან უკმაყოფილო დავრჩი, ინდივიდუალურ უზუსტობას ყოველთვის ვპატიობ, მაგრამ როცა ფეხბურთელი ტაქტიკური მონახაზიდან ამოვარდება და დავალებას არ შეასრულებს, ჩემთვის მიუღებელია. კრესპო კი გმირია, მან ულამაზესი გოლით სამი ქულა გვაჩუქა, თანაც პირველ რიგში ეს ბურთი მისთვის იყო ძალიან მნიშვნელოვანი. ერთი სიტყვით, გამოსაფხიზლებელი სიგნალი მივიღეთ ქულების დაკარგვის გარეშე, რაც იშვიათია, ასე რომ, დროა, აქედანვე მოვეგოთ გონს“ — აღნიშნა მაურინიუმ.

ჩვენ კი ცალი თვალი ერთ-ერთ ცნობილ ინგლისურ ინტერნეტ ფორუმზე გვიჭირავს, სადაც პრემიერლიგის მოყვარულები მრავლად არიან და საინტერესო დისკუსიებიც იმართება. მაგალითად, წუხელ „უიგანის“ თემაში ბევრი სხვა კლუბის ქომაგიც ჩანდა, რომლებიც ძირითადად ერთი შინაარსის ტექსტებს წერდნენ: „წაგებას არ იმსახურებდით, ძალიან სიმპატიური კლუბი გყავთ და წარმატებას გისურვებთ ამ სეზონში. მავანმა ასეთი ფრაზაც ისროლა: „ჩელსის“ ძალიან გაუმართლა. ჟოზე მაურინიუს გუნდი ახალი „მანჩესტერ იუნაიტედია, ახლა ილბალი სულ ლონდონელებისკენაა...“

სტივ ბენეტისა და ლაინსმენების მსაჯობით უკმაყოფილო „ნიუკასლის“ თავკაცმა გრემ სუნესმა კი შემდგომ გუნდის ოფიციალურ ვებგვერდზე, ახსნა თუ რატომ არ გაესაუბრა ჟურნალისტებს. შეგახსენებთ, რომ „კაჭკაჭებს“ ჯერ კაცი გაუგდეს, ხოლო ბოლოს პენალტიც დანიშნეს მათ კარში.

„მე არ მსურდა კომენტარის გაკეთება და მოთამაშეებსაც იგივე ვურჩიე. ისინი ზედმეტი პრობლემებისგან დავიცავი, რაც შეიძლებოდა, მათ სიტყვებს მოჰყოლოდა. არადა, თავის შეკავება ძალიან ძნელი გახლდათ“ — თქვა სუნესმა.

აღვნიშნოთ ისიც, რომ არსენალისთვის ეს ბოლო სეზონია „ჰაიბერიზე“. 2006 წელს „მეფოთეები“ ახალ მოედანზე გადავლენ და „ნიუკასლთან“ მატჩში ქომაგებს ასეთი ტრანსფარანტები ეჭირათ: „ჰაიბერი 1913-2006“.

დიდი ხანია, საუბრობენ, ჯერმინ ჯენასი სექტემბრამდე „არსენალში“ გადავა და პატრიკ ვიეირას შეცვლისო. ბედის ირონიით კვირას ჟილბერტოსთან უხეშობის გამო იგი გააგდეს მინდვრიდან. წუხელ კი ლონდონელთა თავკაცმა ერთხელაც უარყო ეს ინფორმაცია — ჯენასის ყიდვას არ ვაპირებთ.

საინტერესოა, რომ ჯენასს ვიდეო გამეორების ხილვის მერე წითელი ბარათი ყვითლად გადაუკეთეს — ჟილბერტოს თავადაც მშვენივრად გაუფორმებია ყველაფერი.

გრემ სუნესმა კი დაამატა: „ამ ეპიზოდამდე რამდენიმე წამით ადრე ჯენასს უფრო ხისტად თამაში ვთხოვე, მანაც არ დაახანა. სასიამოვნო ეპიზოდი ნამდვილად არ ყოფილა, მაგრამ ჯერმინი წიფელ ბარათს არ იმსახურებდა“.

„ასტონ ვილასა“ და „ბოლტონის“ ხუთწუთიანი ტრილერი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული გახლდათ პირველ ტურში. მართალია, გუნდებს მერე ბევრი არაფერი უკეთებიათ, მაგრამ ჭეშმარიტად პრემიერლიგური, ლამაზი მონაკვეთი მაინც გვაჩუქეს.

მატჩის შემდგომ ბირმინგემელი ქომაგები პატრიკ ბერგერზე საუბრობდნენ — ჩეხი თამაშს რომ დაიწყებს რომ დაიწყებს, ეგებ ჩვენს შეტევას მეტი ფანტაზია დაეტყოსო. ერთმა კი დაიჩივლა: „ბოლტონთან“ შეხვედრაში კარგში სულ სამჯერ დავარტყით და ასე შორს ვერ წავალთო“.

„მანჩესტერს“ ხშირად სჩვევია 4-5 წუთიან მონაკვეთში ორი გოლის გატანა. ასე მოხდა ამჯერადაც, რა თქმა უნდა, თუ ტაიმებს შორის შესვენებას არ ჩავთვლით. სერ ალექს ფერგიუსონის გუნდმა მშვენივრად იბურთავა, მაგრამ მოგებაში მას „ევერტონიც“ გვარიანად „დაეხმარა“.

„წითელი ეშმაკების“ ქომაგნი კი კარგი სტარტითა და ახალწვეულების, განსაკუთრებით ედვინ ვან დერ სარის თამაშით იყვნენ კმაყოფილები, ძლივს კარგი მეკარე გვყავს, ნეტავ, აქამდე რატომ არ ვიყიდეთო. იყო ცნობილი ფრაზაც: „ONE UNITED“...

აქედანვე დავრწმუნდით ,რომ „ვესტ ჰემი“ პრემიერლიგას ნამდვილად აკლდა. „ჩაქუჩებმა“ მშვენივრად ითამაშეს და გულშემატკივარი ძალიან გაახარეს. ლონდონელთა ქომაგებს უკვე სჯერათ, რომ მათი საყვარელი გუნდი უმაღლესი ლიგიდან არ გავარდება.

გულდაწყვეტილნი დარჩნენ ლივერპულელები და მათი თავკაცი რაფაელ ბენიტესი ესპანელმა ერთიც დაიწუწუნა — მთელ მატჩს ვაკონტროლებდით, განსაკუთრებით ბოლო 15 წუთს და დასანანია, გამარჯვება რომ ვერ მოვიპოვეთო.

ბრწყინვალედ მოთამაშე სტივენ ჯერარდის მინუსი კი ის გახლდათ, რომ მან კარგი საგოლე მომენტები ვერ გამოიყენა, რითაც თავადაც გაკვირვებული დარჩა.

ასეა თუ ისე, მერსისაიდელებმა პირველი ქულები დაკარგეს და ახლა მდევრების როლში არიან. ერთმა „სკუზერმა“ (ასე ეძახიან „ლივერპულის“ ქომაგებს) თანამოაზრეების დამშვიდება სცადა — ყველაფერი კარგად იქნებაო და ბოლოში დაამატა — „სანდერლენდთან“ მატჩზე უკვე ენერვიულობო...

მეორე „ლივერპულის“ ქომაგმა კი საინტერესო კითხვა დასვა: რომელი უფრო მნიშვნელოვანია, ჩვენ მოვიგოთ პრემიერლიგა ან ჩემპიონთა თასი, თუ ინგლისის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატი?“. ამას ბევრი არასერიოზულად მოეკიდა — სხვადასხვა რამეა და შედარება არ ღირსო, მაგრამ ერთი საინტერესო პასუხი კვლავ მივიღეთ: „რა შეკითხვაა?! „ლივერპულის“ წარმატება ყველაფერს ნიშნავს. კარგია ნაკრებიც თუ გაგვახარებს, მაგრამ „ლივერის“ მოგებასთან ეს ახლოსაც ვერ მოვა“.

ბოლოს ვთქვათ, რომ 19 გოლი პრემიერლიგისთვის ძალიან ცოტაა, ხოლო სამი 0:0 ცოტა ბევრი. 10 მატჩიდან მასპინძლებმა ოდენ ორი მოიგეს, ხოლო სტუმრებმა ორჯერ მეტი. თუმც დასკვნები და მთავარი ამბები შემდეგისთვის გადავდოთ, ეს ხომ მხოლოდ პირველი ტური იყო...

ბიორბი ძაძაბაძე

იტალია

A სერია

მანფრედონია — ატალანტა 3:2; ჩეზენა — ბოლონია 1:0; პადოვა — პარმა 0:1; აველინო — სიენა 0:1; მონცა — პადუა 1:1 (4:5); ჩიტადელა — ტორინო 0:0 (7:6); არეზო — ბრეშა 2:2 (4:5); ბარი — ასკოლი 2:1; კატანზარო — ლიგორნო 0:0 (2:4); კროტონე — ემპოლი 1:1 (2:3დდ.); გროსეტო — კალიარი 1:2; პარმეზანა — ვერონა 2:1; პიზა — ატალანტა 0:1; კრემონეზე — კიეტი 0:2; რიმინი — ფიორენტინა 1:1 (12დდ.)

ბრაზილია

სერია A. XX ტური

კურიტიბა — სან კეტანო 2:2; პალმეირასი — ინტერნაციონალი 3:2; პაისანდუ — ატლეტიკო პრ 2:1; ბოტაფოგო — სანტოსი 3:3; კრუზეირო — პარაზა 0:1; ფიგეირენსე — ბრაზილენსე 2:2; გოიასი — ფლამენგო 2:0; ფლუმინენსე — ფლუმინენსე 2:0; პონტე პრეტა — კორინთიანსი 3:5; სან პაულუ — ფორტალეზა 3:2

მექსიკა

აპერტურა. III ტური

კრუზ ასული — ტეკოსი 5:1; მონტერეი — ატლასი 1:0; ჩივასი — ატლანტე 3:2; ვერაკრუსი — ტოლუკა 2:3; ნეკაქსა — პუმასი 2:0; სან ლუისი — საგუარესი 1:1; ამერიკა — დორადოსი 2:1; პაჩუკა — მორელია 1:3; სანტოსი — ტიგრესი 1:4

აშშ

მეიჯორლიგა. XXIII ტური

ჩიკაგო — ლოს ანჯელესი 2:1; დალასი — ნიუ ინგლენდი 1:2; სოლტ ლეიკი — კანზასი 2:4; სან ხოსე — კოლორადო 1:1; ვაშინგტონი — ჩივასი 3:0; ნიუ იორკი — კოლუმბუსი 2:1

ავსტრია

ბუნდესლიგა. VI ტური

პაშინგი — ადმირა 5:0; ზალცბურგი — ტიროლი 2:0; ოუსტრია — შტურმი 2:1; გრაცერი — რაპიდი 1:1; მატერსბურგი — რიდი 4:3

აუსტრია	6	5	0	1	12:8	15
რაპიდი	6	4	1	1	13:5	13
გრაცერი	6	3	1	2	10:8	10
შტურმი	6	2	3	1	8:7	9
რიდი	6	2	2	2	8:7	8
პაშინგი	6	1	4	1	9:6	7
ზალცბურგი	6	2	1	3	7:8	7
მატერსბურგი	6	2	1	3	7:11	7
ტიროლი	6	1	3	2	3:7	6
ადმირა	6	0	0	6	4:14	0

ფინეთი

მეიჯორლიგა. XIX ტური

მარიეჰამნი — ჰაჯა 0:1; ილიანსი — კუოპიო 1:1; ინტერი — ტპ 47 1:0; იარო — ტპ 1:1

ჰიკ	17	10	7	0	32:13	37
მიუბა	17	11	4	2	29:10	37
ინტერი	16	8	6	2	23:7	30
ჰაჯა	17	7	8	2	23:11	29
ტამპერე	17	7	6	4	24:19	27
ლაჰტი	20	7	4	9	29:34	25
ილიანსი	17	5	9	3	19:24	24
ტპ	18	6	4	8	23:30	22
მარიეჰამნი	17	5	5	7	19:21	20
კუოპიო	18	5	4	9	19:29	19
იარო	18	4	6	8	15:21	18
ტურკუ	16	4	4	8	14:19	16
როვანიემი	18	3	7	8	16:32	16
ტპ 47	18	2	2	14	11:26	8

შვედეთი

ალსვენსკანი. XVIII ტური

ლანდსკრონა — ელფსბორგი 4:1; გიოტებორგი — კალმარი 0:0; ჰამარბი — ჰელსინგბორგი 6:2; ჰეკენი — იორგრიტე 1:2; მალმიო — ასირისკა 2:2; ჰალმსტადი — სუნდსვალი 6:0; ჰეფსე — იურგორდენი 1:3

იურგორდენი	18	10	4	4	36:21	34
გიოტებორგი	18	9	6	3	22:10	33
მალმიო	18	9	4	5	22:17	31
ჰელსინგბორგი	18	9	3	6	27:28	30
ჰამარბი	18	8	5	5	31:21	29
კალმარი	18	6	8	4	16:14	26
ელფსბორგი	18	7	5	6	26:27	26
ჰეკენი	18	8	1	9	24:21	25
იორგრიტე	18	7	3	8	24:27	24
ლანდსკრონა	18	6	4	8	20:31	22
ჰალმსტადი	18	6	3	9	27:25	21
ჰეფსე	18	6	3	9	16:24	21
ასირისკა	18	4	2	12	15:22	14
სუნდსვალი	18	3	5	10	17:35	14

სარბიელი & კროკო

წარმოგიდგენთ

ინგლისი. კონფერენსი

16 აგვისტო

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22:45	48	ალტრინჰემი-აკრინგტონი	2.65	3.50	2.30	1.50	1.23	1.38
22:45	49	კონვი-ალდერშოტი	2.55	3.40	2.35	1.45	1.22	1.38
22:45	50	ქროული-დაგ ენდ რედი	2.20	3.50	2.75	1.35	1.22	1.53
22:45	51	ექსეტერი-კიდერმინსტერი	1.90	3.40	3.40	1.21	1.21	1.70
22:45	52	გრეისი-გრეივსენდი	1.65	3.40	4.30	1.11	1.19	1.89
22:45	53	ჰალიფაქსი-ბარტონი	1.80	3.40	3.80	1.17	1.22	1.79
22:45	54	სკარბორო-მორიკომბი	2.40	3.30	2.50	1.38	1.22	1.42
22:45	55	ტემუორთი-ფორესტ გრინი	1.80	3.40	3.80	1.17	1.22	1.79
22:45	56	უოკინგი-სტივენეიჯი	2.40	3.40	2.45	1.40	1.21	1.42
22:45	57	საუთპორტი-იორკი	2.15	3.30	2.85	1.30	1.22	1.52
23:05	58	კემბრიჯი-პერეფორდი	2.75	3.30	2.20	1.50	1.22	1.32

საფრანგეთი. II დივიზიონი

16 აგვისტო

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22:30	134	დიჟონი-გენგამი	2.25	2.90	3.20	1.26	1.32	1.52
22:30	135	გრენობლი-ლავალი	1.90	2.90	4.20	1.14	1.30	1.71
22:30	136	ისტრი-სედანი	1.90	2.90	4.00	1.14	1.28	1.68
22:30	137	ლე ავრი-კრეტეი	2.10	2.90	3.30	1.21	1.28	1.54
22:30	138	ლორიანი-სეტე	1.60	3.20	5.30	1.06	1.22	1.99
22:30	139	მონპელიე-ამიენი	1.70	3.00	4.70	1.08	1.24	1.83
22:30	140	გენიონი-კლერმონი	1.90	2.90	4.20	1.14	1.30	1.71
22:30	141	ბასტია-ბრესტი	1.65	3.10	5.50	1.07	1.26	1.98
22:45	142	კაენი-ვალენსიენესი	1.75	3.00	4.80	1.10	1.28	1.84

ფინეთი

18 აგვისტო

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:00	479	ჰაკა-ტურკუ	1.50	3.50	6.20	1.04	1.20	2.23

მჩ. შესარჩევი მატჩები

17 აგვისტო

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19:00	390	ლატვია-რუსეთი	3.80	3.30	1.80	1.76	1.22	1.16
22:00	391	ფარერები-კიპრი	3.20	3.20	2.00	1.60	1.23	1.23
22:00	392	მაკედონია-ფინეთი	2.90	3.20	2.15	1.52	1.23	1.28
22:15	393	ლიხტენშტაინი-სლოვაკეთი	15.00	7.00	1.08	4.77	1.00	1.00
22:30	394	რუმინეთი-ანდორა	1.02	9.00	15.00	1.00	1.00	5.62
21:30	395	სუდანი-ბენინი	1.75	3.10	4.20	1.11	1.23	1.78
21:45	396	ტუნისი-კენია	1.25	4.50	10.00	1.00	1.11	3.10
14:30	397	იაპონია-ირანი	1.65	3.30	4.70	1.10	1.22	1.93
15:05	398	სამხრეთ კორეა-ს.არაბეთი	1.65	3.30	4.70	1.10	1.22	1.93
17:05	399	უზბეკეთი-ქუვეიტი	2.05	3.20	3.20	1.24	1.24	1.60
20:35	400	ბაჰრეინი-კორეა	1.60	3.30	5.20	1.07	1.22	2.01
23:45	401	აშშ-ტრინიდადი	1.15	5.50	12.00	1.00	1.04	3.77
23:45	402	გვატემალა-პანამა	1.75	3.20	4.20	1.13	1.23	1.81
23:45	403	მექსიკა-კოსტა რიკა	1.25	4.70	9.50	1.00	1.10	3.14

ამხანაგური მატჩები

17 აგვისტო

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19:30	462	უნგრეთი-არგენტინა	5.50	3.50	1.50	2.13	1.17	1.04
21:00	463	ნორვეგია-შვეიცარია	1.90	3.10	3.50	1.17	1.23	1.64
21:00	464	ბულგარეთი-თურქეთი	2.40	3.10	2.55	1.35	1.23	1.39
22:00	465	დანია-ინგლისი	2.95	3.10	2.15	1.51	1.24	1.26
22:30	466	ბელგია-საბერძნეთი	2.25	3.10	2.80	1.30	1.24	1.47
22:15	467	შვედეთი-ჩეხეთი	2.35	3.00	2.70	1.31	1.25	1.42
22:30	468	ჰოლანდია-გერმანია	1.95	3.10	3.50	1.19	1.25	1.64
22:30	469	ირლანდია-იტალია	3.00	2.80	2.30	1.44	1.30	1.26
22:30	470	უელსი-სლოვენია	2.00	3.10	3.30	1.21	1.24	1.59
22:30	471	ავსტრია-შოტლანდია	1.60	3.40	4.90	1.08	1.20	2.00
22:45	472	ხორვატია-ბრაზილია	3.90	3.30	1.75	1.78	1.20	1.14
22:45	473	ესპანეთი-ურუგვაი	1.50	3.50	5.50	1.04	1.17	2.13
22:15	474	პორტუგალია-ეგვიპტე	1.30	4.00	8.00	1.00	1.11	2.66

ეჩ. შესარჩევი მატჩები(21)

16 აგვისტო

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19:00	476	ლატვია(21)-რუსეთი(21)	4.20	3.60	1.60	1.93	1.15	1.10
19:00	477	მაკედონია(21)-ფინეთი(21)	1.95	3.30	3.30	1.22	1.22	1.64
22:15	478	პოლონეთი(21)-გერმანია(21)	2.90	3.20	2.10	1.52	1.21	1.26

CROCO BOOKMAKERS

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS

ტელკრედიტი TELCREDIT

10 42 00 24

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ

CROCO
BOOKMAKERS
კროკო

ამჟამად
კროკოს
ბიუროები
მუშაობს
მხოლოდ აქვე
მითითებულ
მისამართებზე
და არსად სხვაგან.
ყველა სხვა
ქალაქში ან
დასახელებული
ქალაქები
სხვა მისამართზე
კროკოს
სახელის,
სიმბოლიკის,
კოეფიციენტების
გამოყენება
უკანონოა,
შპს კროკოს
არ ეხება
და მოქმედი
კანონმდებლობის
შესაბამისად
ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი №70	
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
	ისანი -კახეთის გზატკეცილი	ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	წმინდა ნინოს ქუჩა № 13	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
გორი	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	„ახალი ავტოსადგური“ ალაზნის გამზირი	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა № 1	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №50	
ოზურგეთი	გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2	
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30	
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145	
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	



ბესიკ ლიპარტელიანი: პროგრესი აშკარაა

ნაკრები ამერიკელი ჭართველებით ივსება

გუშინ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა კაბინეტში მიგვიწვია და მინიპრესკონფერენცია მოაწყო. სასაუბრო თემა, ცხადია, საქართველოს ნაკრები და ევროპირველობის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის სამზადისი იყო. გორდონ ჰერბერტის სამწყსო ახლა გერმანიაშია. თვის ბოლომდე იქვე დარჩება და ოთხთა ტურნირში თამაშსაც მოასწრებს, მანამდე კი იტალიური ბორმიო მოიარა. პრეზიდენტმაც სწორედ ბორმიოთი დაიწყო:

— იტალიური შეკრება ხუთი თვის წინ დაიგეგმა. მაშინ რომ გვცოდნოდა, ამ პერიოდში ნაკრების ძირითად ბირთვს პრობლემები შეექმნებოდა, შეიძლება, სულ სხვანაირი გეგმა შეგვედგინა. შეგვეძლო, ბოლო მომენტში უარი გვეთქვა, მაგრამ ბევრი ფაქტორი გავითვალისწინეთ და ლიდერების გარეშე ვარჯიში მაინც საჭიროდ მივიჩნიეთ. ნაკრებს ახალი თავკაცი ჰყავს და ამ შეკრების ჩატარება მისი სურვილიც იყო.

...იტალიაში ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე მოთამაშის ჩაუსვლელობას ობიექტური მიზეზები ჰქონდა. პირველ რიგში საკონტრაქტო პრობლემებს ვახსენებ. ზაზა ფაჩულიას ახალი კონტრაქტის გაფორმება საკმაოდ გაეწელა. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა. იგი ისეთ გუნდში გადავიდა, თავისი შესაძლებლობების წარმოჩენის შანსი რომ მიეცემა. დარწმუნებული ვარ 1-2 წელიწადში მის მორიგ კარგ ტრანსფერს ვიხილავთ. ფაჩულია ნაკრებს გერმანიაში 16 აგვისტოს ჩააკითხავს.

...20 აგვისტოს შეუერთდება გუნდს შემონდ უილიამსი იტალიური შეკრებიდან გათავისუფლება მან ჰერბერტს პირადად სთხოვა და თანხმობაც მიიღო. მოგეხსენებათ, მომავალი სეზონიდან ესპანეთის „ბარსელონაში" ითამაშებს. ჰოდა 19-ში სწორედ ამ კონტრაქტს მოაწერს ხელს.

...კონტრაქტი ნიკა ცქიტიშვილსაც გაუჯანჯლდა, თან სავიზო პრობლემაც ჰქონდა. ორივე შემთხვევაში ყველაფერი ისე დასრულდა, როგორც თავად ნიკას და ჩვენ გვინდოდა. ახლა „მინესოტასთან" ერთად რაღაც ფორმალობებიღა დარჩა მოსაგვარებელი. ჰერბერტის გუნდს კი 25 აგვისტოს შეუერთდება.

...ყველაზე მტკივნეული ვლადიმერ სტეფანიას, ვიქტორ სანიკიძისა და მანუჩარ მარკოიშვილის ტრავმებია. ნაკრებისთვის ეს სამი მოთამაშე ძალიან დიდი ძალაა. სამწუხაროდ, სტეფანია ალბათ სექტემბრის თამაშებამდე მწყობრში ჩადგომას ვერაფრით მოასწრებს.

...ზემოთ ჩამოთვლილი კალათბურთელები ერთად იმ ძალას შეადგენენ, რომლითაც ეროვნულმა გუნდმა უნდა მოიგოს. არ მინდა, ამით ნაკრების სხვა მოთამაშეები დავაკნინო, მაგრამ სიმართლეს რომ ვამბობ, ყველა დამეთანხმება. ამრიგად, იტალიაში ჩატარებულ ოთხთა ტურნირზე წარმატებულ თამაშს არც ველოდით. იქ ხომ ძირითადად საქართველოს ჩემპიონატის ბაზაზე შექმნილი გუნდი ჩავიდა. ლეგიონერები კი სეზონებსშორის შესვენების შემდეგ ჩვეულ ფორმაში ჯერაც არ ჩამდგარან. მთავარი ამ ეტაპზე მათი ერთად ვარჯიში და ცალკეული სათამაშო კომპონენტების დახვეწა იყო. ჰერბერტის გუნდმა ოთხი შეხვერდა ჩაატარა და თამაშიდან თამაშამდე აუმჯობესებდა ხარისხს. ეს მარტო ჩემი აზრი არ არის, სპეციალისტებმაც აღიარეს, ქართველების თამაშში პროგრესი აშკარად იგრძნობაო. ასე რომ, იმ მარცხებსაც აქვს თავისი პლუსები, დამიჯერეთ.

...გერმანიაში გასამართ ოთხთა ტურნირში მასპინძელს, ბერძნებსა და ბელარუსებს დავუპირისპირდებით. ეს ტურნირი 23 აგვისტოს დაიწყება და იმ დროისთვის საქართველოს ნაკრები გაცილებით უკეთესად ითამაშებს. პროგრესს ყველა თვალნათლივ დაინახავს. მთავარი კი სექტემბრის თამაშებია. ფინეთსა და მაკედონიას აუცილებლად უნდა მოვუგოთ და A ჯგუფში გადასვლაც მოვახერხოთ. მართლა პერსპექტიული ნაკრები გვყავს და უფრო მაღალ დონეზე თამაშს ვიმსახურებთ.

ოთარ მაღლაკელიძე

დევის მადა

შაკილ ონილი უკვე ფინალშია



დუეინ ვეიდი და შაკილ ონილი უხასიათობას არ უჩივიან

აი, კაცი, რომელსაც ცხოვრებაში სადარდებელი არა აქვს. შაკილ ონილს ნბა-ში 13 ბედნიერი სეოზნი მოულევია, ბლომად მილიონები და ტიტულები უშოვნია, აგერ, ერთი კვირის წინ „მაიამისთან" ახალი კონტრაქტი გაჩარხა — 5-წლიანი და 100-მილიონიანი და რა გასაკვირია, მისთვის ნბა-ში ბურთაობა აწი სამუშაო კი არა გასართობი რომაა.

რაც ეს სარფიანი ხელშეკრულება დადო, ონილი მას შემდეგ პირველად გამოჩნდა სახალხოდ და გაბადრული სახით მხიარული რამე-რუმეები თქვა, მაგალითად ასეთი — დიდი მადლობა „მაიამის" მფლობელ მიკი არისონს, ამდენი ფული რომ გამოიმეტაო...

მაგრამ ფული და მილიონები იქით იყოს (სიმართლე ითქვას, აქეთ არც არის) და შაკს თურმე აქედანვე თვალს სჭრის სულ სხვა ოქრო — გოლიათი ცენტრი ჩემპიონობაზე ფიქრობს და გაიძახის, ვერ წარმომიდგენია, ვინ და რამ უნდა შეგვიშალოს ხელიო — „ჩემი კარიერა ჩემპიონობებითაა გაჯერებული და მინდა, კიდევ ერთი მოვიპოვო. მინდა, ამ გუნდს მოვუტანო ერთი ტიტული. ეს ისაა, რასაც დიადი გუნდური მოთამაშეები აკეთებენ თავიანთი გუნდებისთვის."

შაკილ ონილის კარიერის პიკმა გადაიარა და შეუძლებელია, ამას თავად ვერ ხვდებოდეს. ბუნებრივია, დევშაკს საკუთარი 150-კილოგრამიანი სხეულის გარდა სხვისი იმედიც აქვს. „მაიამი" ხომ შესამჩნევად მოღონიერდა ამ სეზონთაშორის პერიოდში. ვეება ოანაგუნდელს კვრს უკრავს პატარა — ასაკითაც და ტანხორციოთაც — დოსტი და „ჰითის" ბომბარდირი დუეინ ვეიდი — „ჩვენ შესანიშნავი თანაგუნდელი და მეგობარი დავკარგეთ, ედი ჯონსი გადასარევი ბიჭია და ძალიანაც დაგვაკლდება, მაგრამ მის ნაცვლადაც მშვენიერი მოთამაშეები მოვიდნენ გუნდში და ვფიქრობ, ახლა გაცილებით ძლიერები ვართ."

შაკიც და ვეიდიც აღფრთოვანებულები თუ არა, სულ ცოტა, კმაყოფილები არიან გუნდის შეფის პატ რაილის საკადრო პოლიტიკით, რაილიმ ხომ ედი ჯონსის და ერთი-ორი ისე-რა მოთამაშის ფასად „ჰითში" მოიყვანა ოლსტარელი ფორვარდი ანტუან უოლკერი, ხელბასრი გამთამაშებელი ჯეისონ უილიამსი და რიგიანი სათადარიგო დამცველი ჯეიმს პოუზი.

„ჯეი უილიამსი მოედანზე ყველაფერს ხედავს და ასე მგონია, პასებს არავის მოგვაკლებს. ანტუანს ყველაფერი შეუძლია, ჩემს გვერდითაც, ფარქვეშაც ითამაშოს და სამიანებიც ესროლოს. მოკლედ, ლიდი მხიარულება უნდა გაეჩარხოთ და თუ სიმართლე ვინდათ, კარგი ხანია, ასეთი მოუთმენლობა არ შემიმჩნევია საკუთარი თავისადმი. ვფიქრობ, ერთი სული მაქვს. ახალი სეზონი დაიწყოს და მოედანზე შევიჭრა, შემდეგ კი სახლში წავიდე და პირველ მატჩს ტელევიზორშიც ვუყურო."

ეს ჩვენი შაკი სეზონის პირველ მატჩზე კი საუბრობს, მაგრამ ფიქრით უკვე პლეი ოფში, უფრო სწორედ კი ფინალში უნდა იყოს...

მოკლედ, მაიამელებს ერთი სული აქვთ, სეზონი როდის დაიწყება. შაკმა კი კიდევ ბევრი წვრილმან-მსხვილმანზე ისაუბრა და გუნდში ამ რამდენიმე კვირის წინ პატ რაილისა და მწვრთნელ სტენ ვან განდის შორის მომხდარ ინციდენტსაც შეეხო, მხოლოდ ზედაპირულად — ორი კაცი რომ წაეკინკლავდება, სულ ჩემთან გამოიცხადართ, გეგონება, იმათი გამშვებელი ვიყოო. ისე კი, თუ სიმართლე გინდათ, პატის და სტენის ამბავს ინციდენტს ვერც დავარქმევ ეგ უფრო თქვენი (ჟურნალისტების) გაბუქულიაო.

კოტე ყორშია

ბაქსს ბაქსები აღარ დარჩა



სულაც არ გვიკვირს, „მილუოკი ბაქსის" შეფებმა ასე იოლად რომ გაუშვეს „ატლანტა ჰოქსში" ქართველი ცენტრი ზაზა ფაჩულია. კი მოსწონდათ, მაგრამ „ატლანტა" რომ გამოვიდა, იმხელა ფული „მილუოკელებს" აღარ აღმოაჩნდათ და თუ რატომ, კიდევ ერთხელ მოგახსენებთ: „ბაქსმა" იმდენი ფული დახარჯა ძველი მოთამაშეების დან გაძურჩის და ტონი კუკოჩის შენარჩუნებაზე და ასევე „კლიპერსიდან" წინა სეზონის ყველაზე გაუმჯობესებული მოთამაშის ბობი საიმონსის გადაბირებაზე, რომ ფანს ყველაფერი შეუძლია, ჩემს გვერდითაც, ფარქვეშაც ითამაშოს და სამიანებიც ესროლოს. მოკლედ, ლიდი მხიარულება უნდა გაეჩარხოთ და თუ სიმართლე ვინდათ, კარგი ხანია, ასეთი მოუთმენლობა არ შემიმჩნევია საკუთარი თავისადმი. ვფიქრობ, ერთი სული მაქვს. ახალი სეზონი დაიწყოს და მოედანზე შევიჭრა, შემდეგ კი სახლში წავიდე და პირველ მატჩს ტელევიზორშიც ვუყურო."

ეს ჩვენი შაკი სეზონის პირველ მატჩზე კი საუბრობს, მაგრამ ფიქრით უკვე პლეი ოფში, უფრო სწორედ კი ფინალში უნდა იყოს...

მოკლედ, მაიამელებს ერთი სული აქვთ, სეზონი როდის დაიწყება. შაკმა კი კიდევ ბევრი წვრილმან-მსხვილმანზე ისაუბრა და გუნდში ამ რამდენიმე კვირის წინ პატ რაილისა და მწვრთნელ სტენ ვან განდის შორის მომხდარ ინციდენტსაც შეეხო, მხოლოდ ზედაპირულად — ორი კაცი რომ წაეკინკლავდება, სულ ჩემთან გამოიცხადართ, გეგონება, იმათი გამშვებელი ვიყოო. ისე კი, თუ სიმართლე გინდათ, პატის და სტენის ამბავს ინციდენტს ვერც დავარქმევ ეგ უფრო თქვენი (ჟურნალისტების) გაბუქულიაო.

ახლა კი „ბაქსს" კიდევ 90 მილიონი (!) გავარდა. სწორედ ამდენი დაუჯდათ მილუოკელებს გუნდის ძველი ლიდერის მაიკლ რედის ახალი, 6-წლიანი კონტრაქტი. ისინი ცოცხალი თავით არ გაუშვებდნენ თავიანთ საუკეთესო მობურთალს, რომელიც ყოველ მატჩში საშუალოდ 20-25 ქულა ღირს და „მილუოკი" მის გარეშე ვერც კი იოცნებებდა საშუალოებში ანუ პლეი ოფში დაბრუნებაზე.

სამი ეხის ვახსოვდეთ



1820 წელს სამხრეთ აფრიკაში მოღვაწე პოლიტიკოსმა სერ რუფუინ დონკინმა ქვეყნის დასავლეთით, თვალწარმტაც ალვიას ყურეში პორტი გააშენა და 4000 ინგლისელი იმიგრანტით დასახლა. სახელიც ლამაზი შეეფერა ახალ დასახლებას — პორტ ელიზაბეტი — გარდაცვლილი მეუღლის ხსოვნის პატივსაცემად.

დღესაის პორტ ელიზაბეტი ქვეყნის ვრი-კრიკეტი მთავარი ნავსაყუდელია და მალალი შუქურის ვეფრდით მინიატურული პირამიდითაც აწონებს თავს, რაც უნებურად ალექსანდრიას შუქურას და ძველ ეგვიპტეს მოგაგონებთ

ეს. ასეთ საინტერესო ქალაქი გაუშენებია სამხრეთ აფრიკაში, თუმც ჩვენი ყურადღება მას სულ სხვა მიზეზით დაიმსახურა

გასული საუკუნის 80-იან წლებში პორტ ელიზაბეტის მკვიდრი შალკ ბურგერი სამხრეთ აფრიკის ნაკრებში მეორე ხაზში თამაშობდა და საკმაოდ წარმატებითაც, მაგრამ

შალკ ბურგერი

შალა, შენც აქა ხარ?

მაშინ აპარტეიდის გამო ქვეყანა საერთაშორისო სარბიელიდან მოკვეთილი გახლდათ და ბურგერსაც მსოფლიო მასშტაბით არასდროს დაუქუხია. სამაგიეროდ, მეუღლესთან ერთად ქვეყნისთვის ერთი სასარგებლო საქმე გააკეთა და 1983 წლის 13 აპრილს ქვეყანას შალკ ბურგერ უმცროსი აჩუქა.

ქურციკის მწვადებს ნაჩვევი შალა (როგორც მას გულშემატკივრები ეძახიან), ბავშვობიდანვე ჯანმრთელად გამოიყურებოდა და ზრდა რომ დაასრულა, 193 სანტიმეტრი. სიმაღლის მოიყარა, წონით კი 106 კილო. გახლავთ.

ასეთი აღნაგობის ბიჭი სპორტით არ დაინტერესებულიყო, უცნაური იქნებოდა და შალკ ბურგერ უმცროსმაც ხელი მიჰყო ხტომას, სირბილს, სხვადასხვა ბურთაობებს, მოკლედ, ყველაფერს რაგბის გარდა.

ყველაზე კარგად კრიკეტის თამაში ეხერხებოდა და მამამისსაც უკვე ხელი ჰქონდა ჩაქნეული, ასე ამბობდა, ამ ბიჭისგან უთუოდ დიდი მოკრიკეტე გამოვა და ჩემს ხელობას ძალათ ხომ არ მოვახვევ თავზეო.

ასე იყო თუ ისე, მამის ოცნება მაინც ახდა და შალამ ოვალურ ბურთსაც შეავლო თვალი. ეს იყო და აღარც გაუშვია ხელიდან ეს ჯადოსნური საგანი. მამის ხელშეწყობამაც და ალბათ გენებმაც იმოქმედა, რომ სულ მალე სამხრეთ აფრიკის 21-წლამდელთა ნაკრებში მოხვდა და 2002 წელს ამ გუნდთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატიც მოიგო.

2003 წელს 21-წლამდელთა კაპიტნის რანგში აღზევდა, თუმცა „ბავშვებთან" დიდხანს აღარ გააჩერეს. ავსტრალიაში იმ წელიწადს მსოფლიოს ჩემპიონატი ტარდებოდა და შალკ ბურგერს „ქურციკებმა" უხმეს.

სწორედ 2003 წლის ავსტრალიურ მსოფლიო ფორუმზე შედგა მისი სანაკრებო დებიუტი. სამხრეთ აფრიკა ჩემპიონატის დებიუტანტ გუნდს, საქართველოს ნაკრებს ხვდებოდა.

რამდენიმე თამაში და სარაგბო სპეციალისტებმა ნათლად დაინახეს, რომ ამ 20 წლის ბიჭს წინ დიდი მომავალი ელოდა.

ქარის თასის, ზე-თორმეტისა და სამი ერის თასის გათამაშებებში ნაჩვენებმა შედეგებმა მას თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო მესამეხაზელის სახელი დაუგდო.

2004 წელს IRB-მ მას მსოფლიოს საუკეთესო მორაგბის ჯილდო გადასცა. ამავე წელს შალკი სამხრეთ აფრიკის საუკეთესო მოთამაშედაც აღიარეს.

ღღეს ის 22 წლის გახლავთ და მთელი კარიერა წინ აქვს. საჭმელად სტეიკი ჰყვარებია, მოსასმენად „სტენდი", „ბინ ე ვაილი" და ჯონ მაიერი, საყურებლად ფილმ „პერლ ჰარბორს" ანიჭებს უპირატესობას. შალკ ბურგერ უმცროსი თანამედროვე რაგბის მსოფლიოს დონის ვარსკვლავია, რომელსაც ალბათ ლეგენდად ქცევის პერსპექტივაც „ემუქრება".

ლადო ფულუკიძე



შალკ ბურგერს ტორებში მტერი ჩაუვარდა



ჰასიმ რაჰმანი იბრიჭება

კლიჩკო კლდეს გადაეყარა

WBC ვერსიით ზემძიმეწონასანთა მსოფლიოს დროებითი ჩემპიონის ტიტულისათვის ვიტალი კლიჩკო რომ იბრძოლებდა ძველი ამბავია, რადგანაც სწორედ ის არის ჩემპიონის ქამრის ამჟამინდელი მფლობელი. გასარკვევი ის გახლავთ, თუ ვინ შეეცილებოდა უკრაინელს და ეს ამბავი შაბათს, 13 აგვისტოს გაირკვა.

ჩიკაგოში სარაგბო წრეებში კლდედ წოდებულმა ჰასიმ რაჰმანმა მონტე ბარეტი დაამარცხა და ამით კლიჩკოსთან ბრძოლის უფლება მოიპოვა, თუმცა ყველაფერი ისე არ გამოსულა, როგორც რაჰმანს ეგონა.

„მე ვაიძულებ მონტეს, რომ სამუდამოდ დაიძინოს რინგზე. ნახავთ, 13 აგვისტოს შემდეგ აღარავის შეეპარება ეჭვი, რომ მე ვარ მსოფლიოს ერთადერთი რეალური ჩემპიონი. მთავარი არ არის უბრალოდ გამარჯვება, მინდა რომ ბარეტი ნოკაუტში გავგზავნო და ბრძოლა ლამაზად და სწრაფად დავამთავრო."

ასე ბაქი-ბუქობდა ჰასიმი ბრძოლის წინ, რეალობა კი მის სიტყვებს არ დაემთხვა. მაყურებელმა მთელი 12 რაუნდის განმავლობაში სტვენით ‹აიკლო ორივე მოკრივე, რომლებიც რინგზე უაზროდ და ზანტად იქნევდნენ ხელებს. საბოლოოდ რაჰმანს მოწინააღმდეგე ნოკაუტში არ გაუგზავნია, უბრალოდ მორიგი უსახური ბრძოლა ქულებით მოიგო.

ახლა ამ უპირო კაცს, რომელიც ყოველთვის რაღაც განსაკუთრებულს პირდება გულშემატკივარს, მოწინააღმდეგეს კი წარა-მარა შეურაცხყოფას აყენებს ხოლმე, ახალი და მეტად მძიმე გამოცდა ელის და ამ გამოცდას ვიტალი' ჰქვია.

უკრაინელის უმცროსი ძმა, ვლადიმერ კლიჩკო აცხადებს, რომ ვიტალის რაჰმანის მუქარა არ აღიზიანებს და ბრძოლისათვის აუღელვებლად ემზადება.

„რაჰმანი უაზროდ გაჰყვირის ყველგან, რომ ჩემს ძმას მასთან ჩხუბის ეშინია. დამიჯერეთ, ვიტალი ასეთ წვრილმანებს ყურადღებას არ აქცევს და ნერვებსაც ტყუილად არ მოიშლის" — აცხადებს ვლადიმერი.

თავის მხრივ მოწინააღმდეგეზე ორიოდ სიტყვა თავად ვიტალი კლიჩკოსაც არ დაეშურა: „ჰასიმ რაჰმანი დიდი მორაგბეა. შესანიშნავად არის განსწავლული ტექნიკურადაც და ტაქტიკურადაც, თუმცა სუსტი წერტილებიც გააჩნია და მე სწორედ მათ გამოყენებას ვაპირებ."

თავდაპირველად საჩემპიონო ორთაბრძოლა 24 სექტემბრისთვის იყო ნავარაუდევი, მაგრამ რადგანაც იმ დროისათვის რაჰმან-ბარეტის ბრძოლიდან ძალიან ცოტა დრო იქნება გასული, ტელეარხი HBO ალბათ არ გარისკავს და შეეცდება, ბრძოლა უფრო მოგვიანებით დაინიშნოს.

სპეციალისტთა აზრით, ერთმანეთის დასალილავებლად კლიჩკო და რაჰმანი ოქტომბრის ბოლოს, ან ნოემბრის დასაწყისში შეიყრებიან. იმავ სპეციალისტთა აზრით ფავორიტად უკრაინელი მოკრივე უნდა მივიჩნიოთ.

ლადო ფულუკიძე

ბრინჯაოს სტუდენტები

თურქეთის ქალაქ იზმირში მსოფლიოს უნივერსიადა დაიწყო და კვირის ბოლოდან გასტანს. 30-ზე მეტი ქვეყნის სტუდენტებს შორის ქართველებიც არიან. ჩვენებურები ექვს სახეობაში ცდიან ბედს: თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, მძლეოსნობაში, მშვილდოსნობაში, ფარიკაობასა და ტაეკვანდოში. თქმაც არ უნდა, მედლებს პირველ რიგში მოჭიდავეთაგან ველით. თავისუფლებმა უკვე გამოსვლაც დაასრულეს, თუმც მხოლოდ ორი ბრინჯაოთი. კვარცხლბეკს ოთარ თუშიშვილმა (66 კგ) და დავით ოთიაშვილმა (120 კგ) უწიეს. ბერძენ რომაელები კი ტურნირში დღეს ჩაერთვებიან.

მშვილდოსანთაგან ყველაზე უკეთ ათენის ოლიმპიადამოვლილი ქრისტინე ესებუა გამოვიდა. პირად პირველობაში ჯერ პლეი-ოფში მოხვდა, ხოლო შემდეგ პირველ წრეში ამერიკელ კატერინ ანდერსონს აჯობა 163:145 და მეთექვსმეტედფინალში გავიდა. იქ ჩვენებური ძლიერ იაპონელს იუკი ჰაიშს გადაეყარა და დამატებით სროლებში წააგო. ქრისტინეს გარდა პლეი-ოფში ირინა კირიჩენკო და გიული გათენაძეც მოხვდნენ, თუმც პირველივე შეხვედრები წააგეს.

თავი ვერც ვაუმა მშვილდოსნებმა ისახელეს. ლადო ბოლქვაძე 71 მონაწილეში 69-ე იყო. გიორგი მეჟევიძემ და დიმიტრი კირიჩენკომ კი მართალია პლეი-ოფში გამსვლელი 55-ე და 58-ე ადგილები დაიკავეს, მაგრამ ოცდამეთორმეტედფინალს ვერ გასცდნენ.

გუნდურ პირველობაში თამაშის უფლება მხოლოდ გოგონებმა შეძლეს, მაგრამ არც იქ გაუმართლათ. პირველსავე წრეში იაპონიასთან დამარცხდნენ.

პირველივე წრეში წაგო მოფარიკავე ანზორ ალბრეხტმაც. ქართველი ტაეკვანდოისტები და მძლეოსნები კი ჯერ არენაზე არ გასულან.

ოთარ გალლაკელიძე

ნადალი ალმპრთის ხნავს

რაფაელ ნადალი



ანდრე აგასი

ROGERS MASTERS
მონრეალი. მაგარსაფარი
საპრიზო 2,2 მილიონი $

ფინალი

რაფაელ ნადალი (1, ესპანეთი) — **ანდრე აგასი** (4, აშშ) 6:3 4:6 6:2

35 **წლის** ანდრე აგასი ამქრის უფეხმარდეს ჭაბუკ რაფაელ ნადალთან მაინც უფრო წამგები რომ იყო, ვიდრე — მომგები, ამაზე საქმეში ჩახედული ხალხი მაინცდამაინც არც დავობდა. უბრალოდ, სადღაც ჭიატობდა იმის იმედი, რომ გრძნეული არმენოამერიკელი ამ ერთხელაც შეძლებდა მეტოქის აბლაბუდებში გახვევას და კარიერის 22-ე სამასტერსტურნირო ფინალში მე-18 გამარჯვებას მოიხვეჭდა.

მაგრამ — ვაგლახ — საიმისოდ, რათა 19 წლის მალიორკელი ფასკუნჯი დაატყვევო, სწორედაც რომ მისებრ მარდი ქვედა კიდურები უნდა გესხას და კორტზე მისებრ ჯარასავით ტრიალი უნდა შეგეძლოს.

დიდი მუზარადის ტურნირთა რვაგზის მძლეველი ჯადო ანდრე კი, აუუუ, უკვე რახანია, კორტზე ყმაწვილური სიკისკასით მოძრაობას ვეღარ ახერხებს და სიჭარმაგის კომპენსირებას მეტოქის იქით რბენინებითა და იმის წილი კორტის ბასრი, კორტის კიდეს მიწევნილი დარტყმებით აკლებას ცდილობს.

მაგრამ იმ დღეს მისმა საფირმო დარტყმებმა ნადალი მხოლოდ ერთხელ, მეორე სეტის მეათე გეიმში გახიშტა — რამაც მას სეტიც მოაგებინა — მაგრამ მანამდე და მაგის მერე ანდრეს მიერ ნალოლიავები ბურთები უმეტესწილ ან კორტის მიღმა მიდიოდა, ანაც შლეგიანად მოქარბორიე ჭაბუკის კიდევ უფრო მძლავრ დარტყმათა ობიექტები ხდებოდა.

„ადვილი დასანახია, თუ რატომ იგებს ის ამდენს — ხოტბას ასხამდა თავის ჭაბუკ მძლეველს მერე ანდრე — ის კორტზე არაჩვეულებრივად გადაადგილდება და აუღებელი ბურთების შემობრუნებას ახერხებს. ამის გამო, არასოდეს ხარ დარწმუნებული, რომ გათამაშებას სწორედ შენ აკონტროლებ და არა — ის. მოწოდებაც იმაზე უხერხული ჰქონია, ვიდრე მე ველოდი. ბურთს რიგიანად თუ ვერ შეუბრუნებ, მყისვე შეტევაზე გადმოდის. ეს ყველაფერი კი უკვე დიდი მეჩოგნის მახასიათებლებია.“

ნადალის „სიდიდეზე“ მისი მოუწყვლელი, ღონიერი და ჟინიანი ბურთაობის შედეგად დაგროვილი ქვემორე ფაქტებიც მეტყველებს:

აგასისთან თავის პირველ საკარიერო შეხვედრაში გამარჯვებით ამ ნიჭითა და კუნთებით დატენილმა ყრმამ კარიერის პირველი სამაგარსაფრო, ჯამში მე-10, ხოლო სეზონის უკვე მე-9 ტიტული მოიმკა. ამ ცხრიდან ერთი როლანგაროსულია, სამიც — მონრეალურის ჩათვლით, მონტეკარლოურსა და რომაულთან ერთად — მასტერსხარისხისა. ამაზე ერთით ნაკლებ საამსეზონო ხვავს მოიძევს როჯერ ფედერერი, ვინაც ნადალს წლეულს მაიამური მასტერსის ფინალში ავჯობა. სხვათა შორის, ეს ნადალის მიერ ამ სეზონში დათმობილი ერთადერთი ფინალია.

ამ მოგების მერე მას უკვე 65 საამსეზონო გამარჯვება მოუქუჩდა, რაიც შვიდით მეტია ამქრის წლეულანდელი რეკორდსნის, იმავ ფედერერის მაჩვენებელზე. სათქმელია ისიც, რომ ამაზე მეტი — 69 — შეხვედრა ერთ სეზონში თინეიჯერთაგან ანუ ოცწლამდელთაგან ბორის ბეკერს მოეგო 1986-ში. მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ რაფა წლის ბოლომდე კიდევ ბლომად გამარჯვებას მიითვლის, კიდევ რამდენიმე ათწლეული მოგვიწევს, ვიდრე მისი რეკორდის დამმხობ ოცწლამდელ ყმაწვილს მოვესწრებოდეთ.

ისე კი, ერთ სეზონში სწორედ ცხრა ტიტული გახლდათ აქამომდელი სათინეიჯერო რეკორდი — 19 წლის მატს ვილანდერმა 1983-ში სწორედ ამდენ ტურნირზე იმარჯვა. ცხადია, ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ ნადალი ოდენ ვილანდერის თანარეკორდსნობას არ იკმარებს და დეკემბრამდე კიდევ არა ერთ ჯილდოს იშოვის.

ჰო, მართლა — ბოლო თინეიჯერი, ვინაც კანადურ მასტერსზე იმარჯვა, 18 წლის აზიოამერიკელი მაიკლ ჩანგი იყო. ეს ამბავი 1990 წელს მოხდა, ანუ იმავე სეზონში, როცა რომ იმავ ანდრე აგასიმ თავისი ბოლო აქამომდელი საფინალო მარცხი იწვნია ვინგინდავინ თინეიჯერისგან, კონკრეტულად კი — 19 წლის თვისტომ პიტ სამპრასისგან.

ახლა კი საგანგებოდ უნდა მოვუბრუნდეთ იმ ფაქტს, რომ შარშან ერთ, ხოლო წლეულს რვა თიხნარტურნირზე გალალებულმა ნადალმა მონრეალში თავისი პირველი სამაგარსაფრო ტიტული მოირეწა. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმის გათვალისწინებით, რომ ჯიშად მეთიხნარე ესპანელებს ყოველთვის ამუნათებდნენ სხვა, უფრო სწრაფ კორტებზე უნაყოფო გარჯის გამო. თანაც აშშ-ის წლევანდელ ღია პირველობასაც ხომ ოდენ ორი კვირა გვაშორებს!

„აქ გამარჯვებას ჩემთვის მართლაც დიდი მნიშვნელობა აქვს — ასე ეპასუხებოდა ამ თემასთან დაკავშირებულ კითხვებს იმ დღეს ნადალი — მაგარსაფარზე კარგად თამაში რომ შემეძლო, აქამდეც ვიცოდი, რადგანაც რიგიანი შედეგები მქონდა. მაგრამ ამ გამარჯვების მერე უკვე სულ სხვაგვარი თვითრწმენით განვიმსჭვალე. შემიძლია თუ არა აშშ-ის ღია პირველობის მოგება? ზემოთ ნათქვამის მიუხედავად ასეთი დასკვნის გაკეთებისგან მაინც თავს შევიკავებდი. საერთოდ, მე მატჩიდან მატჩამდე ვფიქრობ, ახლაც მთელი ჩემი ფიქრები მომავალ კვირას უკავშირდება. მინდა, ცინცინატურ მასტერსობაზეც ასეთსავე დონეზე ვითამაშო, რათა აშშ-ის ღია პირველობას მართლაც მაგრად თავდაჯერებული შევხვდე.“

ბოლოს კი ისევ აგასის შესახებ. შტეფი გრაფის მეუღლემ, ვისაც რაგინდარა მასტერსფინალში 1998 წლის მაიამობის შემდეგ აღარ წაეგო, ნამატჩევს მონრეალურ პუბლიკას ახარა, ორი წლის შემდეგ ისევ გინახულებთო. შეგახსენებთ, რომ კანადურ მასტერსს მონრეალი და ტორონტო მონაცვლეობით მასპინძლობენ. თუმცა პრესკონფერენციაზე მან თავის შეუდარებელი სევდიან-წინააზიური ღიმილით დასძინა, კი გინახულებთ, მაგრამ ეგ — შეიძლება მხოლოდ ქალაქში გასაგულავებლადო.

მაგრამ ანდრეს დიდი ჩოგბურთიდან წამსვლელისა ჯერ არაფერი ეტყობა და, თუკი ამ კვირაში გასამართ ცინცინატობაზე შარშან მოპოვებული ტიტულის დაცვა მაინც იუარა, ეგ იმიტომ, რომ — როგორც მისმა აგენტმა, პერი როჯერსმა განაცხადა: „ანდრეს არ სურს რამე ისეთი დაიწყოს, რისი დამთავრების ტრ..იც არ ექნება.“

JPMORGAN CHASE OPEN
კარლსბადი. მაგარსაფარი
საპრიზო 585 ათასი $

ფინალი

კიმ კლაისტერსი (5, ბელგია) — **დანიელა ჰანტუხოვა** (9, სლოვაკეთი) 6:4 6:1

მაშინ, როცა ამქრის ზეპური მდედრიონიდან მრავალი ტრავმიანობის გამო უქმობს და სა-ამ-აშშ-ის-ღია-პირველობად საკუთარი ფარეხის უკან ემზადება, შარშან ნატრავმალი კიმ კლაისტერსი დამაჯერებლად მიგორავს დასახული მიზნებისაკენ.

22 წლის ფუმფულა ბელგოგომ იმ დღეს დასტურ და გაუსაჩივრებლად სძლია ბოლო ერთი წლის განმავლობაში თავის პირველ ფინალამდე მიღწეულ წანწკლა სლოვაკ დანიელა ჰანტუხოვას და კარიერის 26-ე, ხოლო — ინდიანუელსობის, მაიამობის, ისტბორნობისა და სტენფორდობის შემდეგ — წლის მეხუთე ტიტული მოჩანგლა.

უნდა დავსძინოთ ისიც, რომ კიმისთვის ეს უკვე მეცხრე საკუთრივ ამერიკული ტიტული გახლავთ. 2003 წლის დეკემბერში სეზონდამგვირგვინებელ ლოსანჯელესურ ტურნირზე მოგების მერე მას იქ ერთი მარცხის წილ უკვე 31 მოგება დაუგროვდა.

განსაკუთრებით შემოსაელიანი წლეულს მისთვის კალიფორნიული მაგარსაფრები გამოდგა. ვისაც არ ახსოვს, იმას შევახსენებთ, რომ ინდიანუელსობაც, სტენფორდობაც და კარსონობაც სწორედ ამ ბარაქიან შტატში იმართება.

სხვაფრივ — ამ გამარჯვებამ წინა კვირამდე მეათე სარეიტინგო საფეხურზე მდგომი კიმი საამკვირაოდ მერვე ალაგზე აღაზევა. ასე მაღლა კი ის შარშანდელი ოქტომბრის მერე აღარ მდგარა.

რაც შეეხება ჰანტუხოვას, ვინაც მასთან მეშვიდე დაპირისპირებაში უკვე მეშვიდედაც წააგო, მის შესახებ ჩვენ გუშინ ვრცლად წავისაუბრეთ და, რაკიღა იმავის გამეორება არ გვსურს, მხოლოდ იმას დავამატებთ, რომ იმედია, ეს ნიჭიერი და კენარი 22 წლის გოგო ამ წარმატების მერე მაინც შეძლებს სამწლიანი ისე-რაობიდან ხელახლა ამოციაგებას.

NORDEA NORDIC LIGHT OPEN

სტოკჰოლმი. მაგარსაფარი
საპრიზო 140 ათასი $

ფინალი

კატარინა სრებოტნიკი (5, სლოვენია) **ანასტასია მისკინა** (2, რუსეთი) 7:5 6:2

ყველა რომ გრიპიანი ვინუეს უილიამსის არყოფნაში ტურნირის ფავორიტად შთენილი ანასტასია მისკინას გაჩემპიონებას ელოდა, ალრუწუწუნ! — ვერც რუსია ვინ-გოგოთაგანს მიერთვა და ვერც მისი გაჩემპიონების მომლოდინეთ.

24 წლისა და რეიტინგსიის რვა-ე საფეხურზე მდგომმა სლოვენელმა კატარინა სრებოტნიკმა, ვინაც ჩვენი მიმოხილვების უფროსეთესი სტუმარია და მხოლოდღა ასეთ მარგინალურ ტურნირებზე თუ წამოიყელყელავებს ხოლმე, მისკინას მრავალი მიქარვია და ანაზდად მობოშებული მოწოდებით ნინებულად ისარგებლა და წლის მეორე, ხოლო კარიერის მეოთხე ტიტული ირგუნა.

მაპატიე, რომ მოგიგე, მაგრამ ეს ტიტული მეც მაგრად მისდიდაო, ებოდიშებოდა მერე კატარინა თავის მეათე საკარიერო ტიტულზე მონადირე ანასტასიას, ოღონელიც, ბარემ ესეც ვთქვათ, — ჰოი, საოცრებაც და —წლეულს თავის ოდენ პირველ ფინალს თამაშობდა.

ლევან კილაურაძე

მსოფლიოს ჩემპიონატი. ჰელსინკი. 6-14 აგვისტო

HELSINKI
IAAF World Championships
August 6-14, 2005

ჩემპიონატის ბოლო რეკორდი

მსოფლიოს 2001 წლისა და ათენის ოლიმპიადის გამარჯვებული კუბელი ოსლეიდას მენენდესი ჰელსინკის ჩემპიონატის ბოლო დღეს კვლავ ოქროს მედალოსანი და იმავდროულად მსოფლიოს რეკორდსმენი გახდა. თავისივე ძველი რეკორდი, 71,54 მეტრი, მენენდესმა პირველივე ტყორცნით გაუმჯობესა 71,70მ), რის გამოც ფინეთის დედაქალაქის „ოლიმპიურ სტადიონზე" შეკრებილ საზოგადოებას ეჭვი გაუჩნდა, რომ ამით იმდღევანდელ შეჯიბრებას ბოლო მოელო, მაგრამ თურმე სეირი წინ ყოფილა: სად იყო და სად არა, გამოხდა გერმანელი გოგო, კრისტინა ობერგჰოლი, რომელმაც თავისი შუბი 70,03 მეტრზე ტყორცნა და ვითარება ისევ დაძაბა.

მაგრამ, მოგვიანებით ნათელი გახდა, რომ 70,03 მეტრი კრისტინა ობერგჰოლის მაქსიმუმი გახლდათ. მისი საუკეთესო შედეგი ამ ტყორცნამდე ნუ გაიკვირვებთ და მხოლოდ 64,59 ყოფილა, ამიტომაც დაგვეთანხმებით, საკუთარი მაქსიმუმის მთელი ექვსი მეტრით გაუმჯობესება გერმანელისგან უკვე გმირობად ჩანდა.

კიდევ რით შეიქცია თავი ტრიბუნაზე შეკრებილმა გულშემატკივარმა? რასაკვირველია იმით, რომ მათმა თანამემამულემ პაულა ტარვაინენმა ფინეთის რეკორდი დაამყარა, შუბი 62,64 მეტრზე ტყორცნა და საბოლოოდ მეექვსე ადგილი დაიკავა. მეხუთე ადგილზე გასულმა იტალიელმა ზარა ბანმ პირადი რეკორდი მოახერხა — 62,75 მეტრი, ხოლო დანიელმა კრისტინა შერვინმა თავისი ქვეყნის რეკორდი გაუმჯობესა — 63,43 მეტრი.

პრესკონფერენციაზე ოსლეიდის მენენდესმა განაცხადა:

„მე აქ მსოფლიოს ჩემპიონობისთვის ჩამოვედი, რეკორდი კი თავისთავად გამოვიდა. ისე, მადლობა ღმერთს ეს რეკორდი დავამყარე, თორემ კონკურენტები კერკეტი კაკლები გამოდგნენ და ჩუბი ოქროს მედალი საფრთხის წინაშეც კი დააყენეს."

შემდეგ მენენდესს კონკრეტულად კრისტინა ობერგჰოლზე ჰკითხეს.

„მან მართლა ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მისი საუკეთესო შედეგი აქამდე 64-ის სიახლოვეს იყო. გამოვიდა, რომ ამ გოგომ ერთბაშად ექვსი მეტრით შორს ტყორცნა შუბი, მაგრამ ჩემს დასამარცხებლად ეს საკმარისი არ გამოდგა."

იმდღევანდელ სტრატეგიასთან დაკავშირებით კუბელმა ჩემპიონმა ასე მიუგო:

„ყოველთვის ერთსა და იმავე სტრატეგიას მივსდევ. გავდივარ თუ არა შუბის სატყორცნად, მაქსიმალური შედეგის მიღწევას ვცდილობ. პირველივე ცდა მინდა საუკეთესო გამომივიდეს. არ შემიძლია თავიდან ძალები ვზოგო და ბოლო ტყორცნებს ველოდო ოქროს მედლის მოსაპოვებლად."

— რა გაიფიქრეთ, როდესაც ტაბლოზე რეკორდული ციფრები აინთო? — იყო შემდეგი კითხვა.

მენენდესმა მიუგო: „ძალიან ბედნიერი გახლდით, მაგრამ ვცდილობდი საკუთარი თავისთვის მეთქვა, რომ შეჯიბრება ჯერ გრძელდებოდა. და მართლაც, შეჯიბრება ძალიან მძიმე გამოდგა. გულწრფელად გეუბნებით, ასეთი დაძაბული კონკურენცია, რაც მძლეოსნობაში ვარ, არ მინახავს.

პირველი ტყორცნის შემდეგ, როგორც გითხარით, თავის ხელში აყვანა და ბრძოლაზე კონცენტრაცია მომიხდა. გერმანელი გოგოს კარგმა ტყორცნამაც შემიწყო ამაში ხელი თან, ფეხში რაღაც ტკივილსაც ვგრძნობდი."

და ბოლოს ამინდის შესახებ. ჰელსინკის ჩემპიონატმა ავდრის თანხლებით ჩაიარა

„ღმერთს მადლობა კარგი ამინდისაოვის. სულ რაღაც სამი დღის წინ ხომ საშინელება იყო."

პოლას მსოფლიო ოქრო

პოლა რედკლიფი მსოფლიოს ჩემპიონია. იმავდროულად 31 წლის ბრიტანელმა მსოფლიოს ჩემპიონატების რეკორდიც დაამყარა — 2:20.57 ოღონდ ეს შედეგი მისავე მსოფლიო რეკორდზე ხუთი წუთით მეტია. გარდა ამისა ამ შედეგით საკუთრივ ბრიტანეთმა მოიპოვა ჰელსინკის ჩემპიონატზე პირველი და უკანასკნელი ოქროს მედალი, თუმცა რაღა ჰელსინკისას ვამბობთ, რედკლიფის დისციპლინაში ანუ მარათონში, ბრიტანელებს არასდროს მოუგიათ ჩემპიონის ტიტული. ერთი სიტყვით, ცნობილმა მორბენალმა სამშობლოს სამედლო-სამადლო საქმე გაუკეთა.

გაგიკვირდათ, რედკლიფის და საერთოდ ბრიტანელთა უოქრო ცხოვრების ამბავი? დიახ, ასეა. რედკლიფისთვის ეს ჩემპიონატი პირველი არ იყო, მაგრამ წინა შედეგები ახლანდელივით არ ბრწყინავდა: მეოთხე, მეხუთე, მეორე და მეოთხე.

2000 წელს, სიდნეის ოლიმპიადაზე რედკლიფი 10 000 მეტრზე მეორე იყო, ხოლო შარშან, ათენში, მარათონის უკონკურენტო ფავორიტად მოიხსენიებდნენ და საერთოდ ვერ მიიღო შეჯიბრებაში მონაწილეობა.

მაგრამ აი, დადგა ჰელსინკური მარათონის დღეც და პოლა რედკლიფმა ათენისგან ძალიან განსხვავებულ კლიმატურ პირობებში თავისებურად იასპარეზა — მთელი 42 კილომეტრის განმავლობაში ნათლად გამოჩნდა, რომ რედკლიფი სხვებს სჯობდა, ხოლო დისტანციის მეორე ნახევარში მთავარი კონკურენტები, რუმინელი კონსტანტინა ტომესკუ და მსოფლიოს აწ უკვე ყოფილი ჩემპიონი კენიელი კატერინ ნდერება თვალსაჩინოდ ჩამოიტოვა.

„შეჯიბრების დროს ძალიან მიჭირდა, მაგრამ გარბენისგან სიამოვნებაც მივიღე — განაცხადა გამარჯვებულმა მარათონელმა პრეს-კონფერენციაზე — შარშან პრობლემებმა დამტანჯა, წლეულს კი ჯანმრთელობა მოვიწესრიგე და გონება ჰელსინკის ჩემპიონატზე გასამარჯვებლად მოვიკრიბე."

უნდა აღინიშნოს, რომ დიდებულად ირბინა ნდერებამაც, რომელმაც მეორე ადგილზე გასვლით თავის ქვეყანას დიდი საქმე გაუკეთა — პარალელურად ხომ მარათონელთა მსოფლიო თასიც მიმდინარეობდა და ნდერებას ვერცხლის წყალობით კენიელებმა მთავარი ჯილდო მოიგეს, თასის ოთხგზის მფლობელ იაპონელებს აჯობეს.

ბრინჯაოს მედალი ტომესკუს ხვდა. მან ორჯერ ვაუკაცურად სცადა რედკლიფის გადასწრება და ჩამოტოვება, მაგრამ მისდა სამწუხაროდ ერთადერთი, რაც შეძლო, გარბენისთვის ტემპის მომატება გახლდათ, მეტი კი არაფერი.

„თავიდანვე ვიცოდი, რომ კარგი სისწრაფით მივრბოდი და ჩემი მთავარი მიზანიც სწორედ ამ ტემპის შენარჩუნება გახლდათ — თქვა შემდეგ ბრიტანელმა ჩემპიონმა — მართალია, ამაზე უკეთესი შედეგებიც მქონია, მაგრამ დღევანდელი გარბენი ჩემთვის მაინც მნიშვნელოვანი გახლდათ. ამიერიდან გარწმუნებთ, კიდევ გაჩვენებთ ძლიერ გარბენებს."



14 აგვისტო

მარათონი ქალები

1 პოლა რედკლიფი (დიდი ბრიტანეთი)	2:20,57
2 კატერინ ნდერება (კენია)	2:22,01
3 კონსტანტინა ტომესკუ (რუმინეთი)	2:23,19

სიმაღლეზე ხტომა კაცები

1 იური კრიმარენკო (უკრაინა)	2,32
2 ვიქტორ მოია (კუბა)	2,29
3 იაროსლავ რიბაკოვი (რუსეთი)	2,29

800 მ კაცები

1 რაშიდ რამზი (ბაჰრეინი)	1:44,24
2 იური ორზაკოვსკი (რუსეთი)	1:44,51
3 უილიამ იამპოი (კენია)	1:44,55

შუბის ტყორცნა ქალები

1 ოსლეიდის მენენდესი (კუბა) მს. რეკორდი	71,70
2 კრისტინა ობერგჰოლი (გერმანია)	70,03
3 შტეფი ნერიუსი (გერმანია)	65,96

5 000 მ კაცები

1 ბენჯამინ ლიმო (კენია)	13:32,55
2 სილეში სიჰინე (ეთიოპია)	13:32,81
3 კრეიგ მოტრამი (ავსტრალია)	13:32,96

1 500 მ ქალები

1 ტატიანა ტომაშოვა (რუსეთი)	4:00,35
2 იულია ჩიჟენკო (რუსეთი)	4:00,93
3 ოლგა ეგოროვა (რუსეთი)	4:01,46

4X400 მ ესტაფეტა ქალები

1 რუსეთი	3:20,95
2 იამაიკა	3:23,29
3 დიდი ბრიტანეთი	3:24,44

4X400 მ ესტაფეტა კაცები

1 აშშ	2:56,91
2 ბაჰამა	2:57,32
3 იამაიკა	2:58,07

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ. ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘ. 6-14 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

HELSINKI August 6-14, 2005
IAAF World Championships

ᲛᲔᲐᲗᲔ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲘᲛᲔᲓᲒᲐᲡᲐᲠᲣᲔᲑᲐ

ᲘᲡ ბერდიჩეველია, გსმენიათ ბერდიჩევის შესახებ? ეს ქალაქი კიევიდან სამხრეთ-დასავლეთით დაახლოებით 120 კილომეტრშია და წარსულში თურმე ხან ლიტვაში შედიოდა, ხან პოლონეთში და ხან რუსეთში. ამ ქალაქის ერთ-ერთი მთავარი ღირსშესანიშნაობა სამონასტრო კომპლექსი გახლავთ, ახლა კი ბერდიჩეველებს ახალი ამბით თუ მოვლენით შეუძლიათ იამაყონ — მათი აღზრდილი იური კრიმარენკო მძლეოსნობაში, კერძოდ კი სიმაღლეზე ხტომაში მსოფლიოს ჩემპიონია.

თუმცა, ახლა იმავე მოვლენას მსოფლიოს ჩემპიონატის კუთხიდანაც შევხედოთ. აქედან ასეა: ვაგლახ, მძლეოსნობის ათი ჩემპიოატიდან მხოლოდ ერთში, სულ პირველში ჰქონდა სიმაღლეში ხტომის ჩემპიონს გენადი ავდიენკოს ასეთი არაფრისმთქმელი შედეგი — 2,32. ის კი არა და თურმე კრიმარენკო 2,30 სანტიმეტრს ცხოვრებაში სულ მეორედ გადაეელო, ასე, რომ ამ დისციპლინის მოყვარულები ჰელსინკის ჩემპიონატით საკმაოდ უკმაყოფილონი დარჩებოდნენ.

თავად კრიმარენკოს ბუნებრივია იმედი აქვს, რომ შედეგს მნიშვნელოვნად „გამოასწორებს". ტექნიკის თვალსაზრისით მას თანამემამულე ანდრეი სოკოლოვსკი მოსწონს, მაგრამ კერპად ლეგენდარული სიმაღლეზე მხტომელი კუბელი ხავიერ სოტომაიორი ჰყავს დასახული. სხვათაშორის, სოტომაიორი ფინეთის დედაქალაქში გახლდათ და თანამემამულე ვიქტორ მოიას აკვირდებოდა.

კრიმარენკო ამბობს, რომ „ოლიმპიური სტადიონის" საფარი დიდი სიმაღლეების დაპყრობის საშუალებას არ იძლეოდა.

„მეგონა, ჩემპიონი სტეფან ჰოლმი გახდებოდა. ბოლო წლებში ხომ ჰოლმი იგებს თითქმის ყველა შეჯიბრებას. დილით რომ გავიღვიძე, იმითც ძალიან ბედნიერი გახლდით, ფინალში რომ ვმონაწილეობდი. რვა უძლიერესში მოხვედრაზე მეტს არც ვოცნებობდი." — გულწრფელად განაცხადა ჩემპიონმა.

ᲒᲕᲯᲔᲠᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲕᲘᲒᲔᲗ

4X400 მეტრი ესტაფეტა ამერიკელმა კაცებმა მოიგეს. ესტაფეტაში ბოლო, სახელგანთქმული თეთრკანიანი მორბენალი ჯერემი უორინერი იდგა. გარბენის შემდეგ გამართულ სავალდებულო პრესკონფერენციაზე უორინერმა თქვა:

„გუშინ დასვენების დღე მქონდა და ამიტომ თავს ჩინებულად ვგრძნობდი. საერთოდ კი მინდა გითხრათ, რომ ჰელსინკის ჩემპიონატი ჩემთვის ბედნიერი გამოდგა, რადგან აქ ორი ოქროს მედალი მოვიგე, 400 მეტრზე სირბილი და დღევანდელი ესტაფეტა. ესტაფეტაში დიდებული გუნდი გვყავს. თავიდანვე გვწამდა, რომ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩებოდა, მაგრამ საჩუქარი ნამდვილად არ მიგვიღია. ვიბრძოლეთ და გავიმარჯვეთ."

გარბენი ენდრიუ როკმა დაიწყო: „ერთადერთი, რაც მინდოდა და რაც თავში მიტრიალებდა, გუნდისთვის კარგი სტარტის მიცემა გახლდათ. კარგი სტარტი აუცილებელი გამარჯვების გარანტია იქნებოდა."

დეროლდ უილიამსონი, ეტაფეტის მეხუთე მონაწილე: „უნდა გამოგიტყდეთ, რომ კარგი ინდივიდუალისტი ნამდვილად არა ვარ, მაგრამ ესტაფეტა მეხერხება და ამიტომაც მთელი ყურადღება ესტაფეტაზე მქონდა გადართული. მინდა, დიდი კმაყოფილებით აღვნიშნო, რომ ჯერემი უორინერს საესტაფეტო ჯოხი მისთვის მაქსიმალურად მოხერხებულ პოზიციაში გადავეცი."

ᲛᲐᲠᲝᲙᲝᲡᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲛᲔᲝᲠᲔᲓ ᲐᲡᲐᲮᲔᲚᲐ ᲑᲐᲰᲠᲔᲘᲜᲘ

ᲑᲐᲰᲠᲔᲘᲜᲔᲚᲘ რაშიდ რამზის ამბავი ამ ჩემპიონატის მსვლელობისას ერთხელ უკვე მოგახსენეთ, როდესაც 25 წლის დაბადებით მაროკოელმა, ხოლო ახალი სამშობლოთი ბაჰრეინელმა ვარსკვლავმა 1500 მეტრზე სირბილში ოქროს მედალი მოიგო და აი, ჩემპიონატის ბოლო დღეს რამზამ 800 მეტრზეც მიაღწია წარმატებას, რითაც შეიქნა პირველი მძლეოსანი, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატზე ამ ორ დისტანციაზე მიუღწევია წარმატებისთვის.

საინტერესოა, რომ შეჯიბრების ბრიფინგიდან თვალს ადევნებდნენ წარსულის ამბავი კაშკაშა ვარსკვლავები, როგორებიც გახლავან სებასტიან კოე და სერგეი ბუბკა. მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიადის მოგებული გმირები.

„ათენის შარშანდელმა ოლიმპიადამ ერთი მასწავლა — განაცხადა ბაჰრეინელმა — ჰელსინკიში ჩინებულ შედეგებს ამ-ყოფ მივაღწიე, რომ ფანტასტიკურად მოვემზადე. ვიცოდი, რომ ფინალი ჯიქურ და ინტენსიურად უნდა მერბინა და ასეც მოვიქეცი."

ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲤᲐ

	Ო	3	8	&
აშშ	14	8	3	25
რუსეთი	7	8	5	20
ეთიოპია	3	4	2	9
კუბა	2	4	0	6
ბელარუსი	2	2	1	5
საფრანგეთი	2	1	4	7
შვედეთი	2	0	1	3
ბაჰრეინი	2	0	0	2
იამაიკა	1	5	2	8
კენია	1	2	4	7
მაროკო	1	2	0	3
გერმანია	1	1	3	5
ესტონეთი	1	1	0	2
ბაჰამა	1	1	0	2
ჰოლანდია	1	1	0	2
ბრიტანეთი	1	0	2	3
უგანდა	1	0	0	1
ყატარი	1	0	0	1
ლიტვა	1	0	0	1
ეკვადორი	1	0	0	1
უკრაინა	1	0	0	1
ჩეხეთი	0	1	2	3
განა	0	1	1	2
პოლონეთი	0	1	1	2
ესპანეთი	0	1	1	2
ნორვეგია	0	1	0	1
ტანზანია	0	1	0	1
ჩინეთი	0	1	0	1
ტრინიდადი	0	1	0	1
რუმინეთი	0	0	2	2
იაპონია	0	0	2	2
პორტუგალია	0	0	2	2

სენტ კიტმა და ნევისმა, მექსიკამ, კანადამ, იტალიამ, ფინეთმა, ახალმა ზელანდიამ, უნგრეთმა და ავსტრალიამ თითო ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

კვირას, 14 აგვისტოს, მძლეოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატი საზეიმოდ დაიხურა

ᩮᲐᲛᲐᲡᲚᲘ, ᲔᲠᲗᲘᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲕᲚᲘᲝ

აი, ვინ მოიგო 36-ე რეგატა სახელწოდებით „Solitaire du Figaro“ — იტალიელმა პიეტრო დალიმ. „სარბიელის“ მეთექვსმეტე გვერდის ერთგულ მკითხველებს შეგახსენებთ, რომ რეგატაში 46 იახტა მონაწილეობდა, მარშრუტი კი ასეთი გახლდათ: ბილბაო, ლა როშელი, კორკი.

AFP კორკიდან

AFP ბარსელონიდან

ᩮᲝᲜᲐᲚᲓᲘᲜᲘᲝᲡ ᲐᲠ ᲨᲔᲕᲐᲠᲡ ᲨᲘᲛᲨᲘᲚᲘ

რონალდინიო „უორლდ ფუდ პროგრამის“ ამბავში შიმშილის წინააღმდეგ მებრძოლად და ამ საქმეში გაეროს ელჩად აკურთხეს, რის ცერემონიალსაც ამ ფოტოზე ხედავთ. უფრო სწორად, ფოტოზე ბრაზილიელი ვარსკვლავი უკვე ელჩია და ამ ამბისთვის სავანგებოდ შექმნილ მაისურს აჩვენებს ფოტოგრაფებს.

ᲞᲐᲡᲘ ᲐᲛᲐᲗ ᲐᲠ ᲨᲕᲐᲠᲒᲐᲗ ᲓᲐ...

თქვენ წინაშეა „პენიაროლის“ ქომაგი, რომელსაც ეტყობა, პასი არ მოეწონა და ტირის. საქმე კი ის გახლავთ, რომ ესპანეთში, ლა კორუნიაში, „რიასორზე“, ეგრეთ წოდებულ გალისიის ან მეორენაირად „ტურეზა ერერას“ თასზე ურუგვაის ორი გუნდი, „პენიაროლი“ და „ნასიონალი“ დაეჯახა ერთმანეთს. „ნასიონალმა“ 3:1 მოიგო.

AFP ლა კორუნიიდან



AFP ბარ დეი ბლატიდან



ᲛᲐᲒᲐᲠᲘᲐ ᲚᲘᲤᲢᲕᲐ!

ლიტველები ბერძნებთან 21-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მოგების (65:63) შემდეგ მწვრთნელი რამუნას ვუტაუტასს აბურთავებენ და იქნებ კალათშიც სტყორცნონ, მეხუთე ადგილისთვის კი აშშ-მ არგენტინას 111:85 აი, ასე მოუგო — ზემოდან უკეთ ჩანს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროფაძელიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორაშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კელეურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენგაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოცხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208 ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge